ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 20 დეკემბერი, 2023 №250 (9286) ფასი: 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვინ არის 25 წლის ქართველი, რომელიც პოლონეთში ღამის კლუბში მანქანით შევარდა

გვ.3



# „ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში თუ დაბრუნდა, გუნდს გამოცვლის“

ვახტანგ ძაბირაძე: „კულისებში იქნება, თუ ოდნავ მაინც იგრძნო, რომ მის ძალაუფლებას საფრთხე ემუქრება ან კარგავს, იმავე წუთს გამოვა“





გვ.3

## „ქართული ოცნება“ თავისი თავის მძევალი გახდა“



გვ.2

პაატა ზაქარეიშვილი: „ევროკავშირს არ სჭირდება ცალ ფეხზე მდგომი სახელმწიფოები და მუხლებზე დაჩოქილი სახელმწიფოები! ევროკავშირს სჭირდება ღირსეული სახელმწიფოები. ეს ღირსება შეუნარჩუნა საქართველოს ქართველმა ხალხმა და, პირველ რიგში, ახალგაზრდობამ“

## „ევროკავშირი რუსეთიდან გრძელვადიან საფრთხეს ვერ აცნობიერებს“

გვ.4



## „უმუშევრობის დონე ისტორიულ მინიმუმამდე, 17%-მდე შემცირდა“

ირაკლი ღარიბაშვილი: „ბიუჯეტი 2012 წელს იყო დაახლოებით 8 მილიარდ 500 მილიონამდე, გაისად იქნება 28 მილიარდ 700 მილიონი“

გვ.4

*ისტორიები*

## როგორ იწყებოდა თბილისის ომი



გვ.5

## რუსეთში მწერალ ბორის აკუნინზე სისხლის სამართლის საქმე აღძრეს



გვ.6



*მედიცინა*

გვ.5

უძილობის მკურნალობა ხალხური რეცეპტებით

2 „გიგა ოთხოზორიას საქმე მოვიგეთ სტრასბურგში. რუსეთს 130.000 ევრო დაეკისრა“

2 ვახტანგ გომელაური: „ბევრი მიდიოდა ვითომ სამუშაოდ და ქრებოდა, ხან იყო ქურდობა“

7 ომარ თეთრაძე: საქართველოში საფეხბურთო ინფრასტრუქტურა თითქმის არ არსებობს

6 ზალუქნი მიყურადების სისტემის აღმოჩენის შესახებ

1993230720223

# „ქართული ოცნება“ თავისი თავის მძევალი გახდა“

## პაატა ზაქარეიშვილი: „ევროკავშირს არ სჭირდება ცალ ფეხზე მდგომი სახელმწიფოები და მუხლებზე დაჩოქილი სახელმწიფოები! ევროკავშირს სჭირდება ღირსეული სახელმწიფოები. ეს ღირსება შეუნარჩუნა საქართველოს ქართველმა ხალხმა და, პირველ რიგში, ახალგაზრდობამ“

ნონა ცაბაძე

*„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.*



***– ბატონო პაატა, ჯერ კიდევ ვერ ჩაცხრა ეიფორია საზოგადოებაში და გასული კვირის ბოლოს მიღებული კანდიდატის სტატუსი ერთ-ერთ მთავარ მოვლენად რჩება. როგორია თქვენი შეფასებები? რამდენად ღირსეულად შეხვდა ამ ყველაფერს ხელისუფლება და რამდენად არის კანდიდატის სტატუსი „ოცნების“ დამსახურება, როგორც ამას ახლა იჩემებენ?***

– ხელისუფლების ქცევა, აბსოლუტურად მიუღებელი და უგუნურია, მაგრამ რაკი მივიღეთ კანდიდატის სტატუსი, ეს ყველაფერს ფარავს. აქვე გეტყვით, რომ მე ვერ გავიგე, რა იგულისხმებოდა ცალ ფეხზე დგომაში? 27 წევრია ევროკავშირის წევრი, კიდევ რამდენიმე კანდიდატი და ვინ მიიღეს, ან ვის ლებულობენ ცალ ფეხზე მდგომს, მე ვერ გავიგე. ომის პარტიისა არ იყოს, თქვან, ვინაა ომის პარტია, თქვან, ვინ შევიდა ცალ ფეხზე?!

***– ახლა უკან მიაქვთ თავისი სიტყვები, ჩვენ არასდროს გვითქვამს ევროკავშირზე, რომ აქ მეორე ფრონტის გახსნა უნდათო.***

– თვითონ თხზავენ, თვითონ იგონებენ ყველაფერს. გამოვიდა ღარიბაშვილი და თქვა, რომ ჩვენ თავიდან ავიცილეთ ომიო. ეს არის ზღაპარი! ეს არის აბსურდი, არაფერი საერთო ამას რეალობასთან არა აქვს! საქართველოში არავის, არასდროს უნდოდა ომი. ეს არავის უთქვამს. თუ არ ჩავთვლით კონკრეტული პირების რამდენიმე უპასუხისმგებლო განცხადებას. ასევეა, ცალ ფეხზე დგომა და მუხლებზე დაჩოქება. ევროკავშირს არ სჭირდება ცალ ფეხზე მდგომი სახელმწიფოები და მუხლებზე დაჩოქილი სახელმწიფოები! ევროკავშირს სჭირდება ღირსეული სახელმწიფოები. ეს ღირსება შეუნარჩუნა საქართველოს ქართველმა ხალხმა და, პირველ რიგში, ახალგაზრდობამ.

***– სტატუსი მივიღეთ. შემდეგი ნაბიჯია, რომ უნდა გაიხსნას მოლაპარაკება. „ოცნების“ ხელისუფლების პირობებში რა მოლოდინი გაქვთ? წინ არჩევნებია. პრემიერის ანგარიში მოვისმინეთ და ზღაპრული ქვეყანა დაგვიხატა.***

– თუ ზღაპრული ქვეყანა იქნება და ისე გაიხსნება მოლაპარაკებები, ეს ძალიან კარგი იქნება. თავისთავად ევროკავშირსაც სჭირდება, რომ საქართველო ჩართოს თავის სარეცხ მანქანაში და გარეცხოს თავის „ქართულ ოცნებიანად“. შესაბამისად, არ გამოვრიცხავ, რომ ევროკავშირიც იყოს დაინტერესებული, რაც შეიძლება სწრაფად, ერთი წელიწადის ფარგლებში გაიხსნას მოლაპარაკება. მე მაინც ეჭვი მეპარება, რომ მოლაპარაკების პროცესი გაიხსნას არჩევნებამდე და ძალიანაც კარგი, თუ ასე მოხდა. არჩევნებამდე მოუწევს „ქართულ ოცნებას“ იყოს უფრო ევროპული, ვიდრე სინამდვილეშია. მე მომწონს ეს ვითარება. „ქართული ოცნება“ თავისი თავის მძევალი გახდა. იძულებულია, ასე მოიქცეს, ხალხი სხვაგვარად მოქცევას არ აპატიებს.

***– „ხალხის ძალამაც“ კი შეცვალა რიტორიკა. სულ სხვაგვარი განცხადებები გვესმის.***

– რა თქმა უნდა, მათ ხომ არჩევნებში გამარჯვება უნდათ, დღეს ისინი გახდნენ სწორედ ამ კანდიდატის სტატუსის მძევლები, მართალია, მათი დამსახურებით არ მიგვილია, მაგრამ ამ პროცესში ისინიც მონაწილეობდნენ. ახლა მოუწევთ, არჩევნებამდე მაინც მორიგონ ეს როლი. მთავარია, ქვეყანამ ამით სარგებელი ნახოს. დღეს ევროკავშირს უფრო მეტად უნდა ჩვენი წევრობა, ვიდრე „ქართულ ოცნებას“. ასევე, მთავარია, რომ ქართველ ხალხს უნდა მკაფიოდ და ცალსახად ევროკავშირი! ჩვენ სწორ გზაზე მივდივართ, დანარჩენი, სასაცილოდ არ მყოფნის, როდესაც ხელისუფლება იქნება თუ ოპოზიცია, ერთმანეთს ართმევენ გამარჯვების ამ ლავრას. ეს არც ერთს ეკუთვნის და არც მეორეს, ეს ეკუთვნის მხოლოდ და მხოლოდ ქართველ ხალხს! აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს მთავარი, უკრაინა რომ არა, ჩვენთვის ეს შესაძლებლობა არ გაიხსნებოდა.

***– დააჩქარა პროცესი?***

– დიახ, უკრაინამ გაგვიხსნა და ევროკავშირმა დაინახა რეალური სახე რუსეთისა. დაინახა ევროკავშირმა არსებული გამოწვევები, უკრაინის კონტექსტიდან გამომდინარე და კავკასიის სახელმწიფოს გაუღო კარი. უნიკალური რამ მოხდა. ჩვენ არც კი ვაკვირდებით, რა მოხდა. საქართველოა ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც არ ესაზღვრება ხმელეთით ევროკავშირს. ევროკავშირი ფართოვდება მხოლოდ ხმელეთით. დღემდე ასე იყო. უცებ გაღმა სახელმწიფოს, რომელსაც არანაირი საერთო ევროკავშირთან ხმელეთით არ აქვს, აძლევენ კანდიდატის სტატუსს. ეს იმაზე მეტია, ვიდრე ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ! აი, რამხელა ნდობა გამოუცხადეს საქართველოს, მისი უგვანი ხელისუფლების პირობებშიც კი და გაღმა სახელმწიფოს მისცეს სტატუსი. ჩვენსა და ევროკავშირს შორის არის მთელი შავი ზღვა და ომიანი უკრაინა. ეს არის ქართველი ხალხის ნდობა, თორემ არც ხელისუფლება და არც ოპოზიცია ამას არ იმსახურებდა.

***– ბატონო პაატა, ვიდრე ოპოზიციაზე ვისაუბრებდეთ, ამდენხნიანი პაუზის შემდეგ, ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა საზოგადოების წინაშე. რუსთაველის თეატრში დაესწრო ჩხიკვაძის საღამოს. ასეთი ხუმრობაც მოვისმინე, მკვდრებს სწყალობს, ცოცხლებს აღარაო. რას ნიშნავდა ახლა ეს გამოჩენა? წინასაარჩევნოდ ხომ არ გააქტიურდება?***

– რა იაღლიშიც ბიძინა ივანიშვილს მოუვიდა, შოვის ტრაგედიის დროს, უკვე ვერანაირი ჩხიკვაძისა და სხვა გარდაცვლილი ღირსეული ქართველების ჩრდილები მას ვერ უშველის! ეს იყო მისი უდიდესი შეცდომა. მას აუცილებლად უნდა ეთქვა სამძიმარი შოვის ტრაგედიაზე. ეტყობა ამ შეცდომის გამოსწორებას იწყებს, თანაც ძალიან უცნაური ფორმით. იმ მარცხის შემდეგ, მას სჭირდებოდა გარკვეული ფორმით გამოსვლა, გამოჩენა ასპარეზზე. ღარიბაშვილის გამოსვლის დიდი ნაწილიც დაეთმო ივანიშვილის ქებადიდებას. როგორც ჩანს, ისინი თვლიან, რომ არჩევნებზე „ქართულ ოცნებას“ შეიძლება შეექმნას პრობლემები. ამიტომ მთლად არჩევნების დღეს რომ არ გამოჩნდეს ივანიშვილი, ახლა იწყებენ მის ნელ-ნელა გამოშვებას და გამოჩენას. თუმცა, ყოველთვის უნდა შევახსენოთ შოვი, როგორც კი ის გამოჩნდება. რადგან შოვი იყო უდიდესი ტრაგედია.

***– ბატონო პაატა, რას იტყვით ოპოზიციაზე. როგორ გამოიყურება დღეს? რაც ნაცმოძრაობაში მოხდა, ვნახეთ, როგორც იქნა ნიკა მელიამ დატოვა პარტია. საინტერესოა, რა ნაბიჯებს გადადგამს ის და ზოგადად რას იზამენ პატარ-პატარა პარტიები?***

– ჩვენი მრავალთვიანი შეძახილების შემდეგ, როგორც იქნა, მელიამ გაბედა და დაგვიჯერა (ეს ხუმრობით). კარგია, მელიამ ეს გადაწყვეტილება რომ მიიღო. თუ მელია ნაცმოძრაობასავით მხოლოდ „რუსულ ოცნებაზე“ არ ილაპარაკებს და ილაპარაკებს პენსიებზე, სიღარიბეზე და ასე შემდეგ, მგონია, რომ ის გადალახავს 5%-ს. ნაცმოძრაობა სადღაც 9%-ის აღებას შეძლებს, ასევე, დარწმუნებული ვარ, გახარიაც გადალახავს ბარიერს. „ლელოს“ აქვს შანსი გადალახოს 5%.

***– „ლელოსა“ და მელიას ერთობაზეც ლაპარაკობენ.***

– „ლელო“ რომ მისულიყო ნაციონალურ მოძრაობაში, ის აუცილებლად დაკარგავდა თავის ხმებს და ვერაფერს შესძენდა ნაციონალურ მოძრაობას. უკვე ნაციონალური მოძრაობიდან წამოსული მელია, იპოვის საერთო ენას „ლელოსთან“, ეს არცერთისთვის იქნება მინუსი. მე მივესალმებოდი ამ ერთობას, თუმცა, მიმაჩნია, რომ მელია ცალკე და „ლელო“ ცალკე, შეძლებენ 5%-ის გადალახვას, თუ მოახერხებენ ზუსტი მესიჯების გაგზავნას საზოგადოებისათვის. თუ ერთად იქნებიან, ვთვლი, რომ ერთმანეთს გააძლიერებენ და შესაძლოა, 7-8%-იც კი აიღონ.

***– რას იტყვით პრეზიდენტის როლზე ამ საარჩევნო პროცესში? დატოვებს თანამდებობას?***

– მე მგონია, რომ პრეზიდენტი თუ გადადგება, ეს მას დააზიანებს და გააძლიერებს „ქართულ ოცნებას“ მის წინააღმდეგ. თანაც, ამით მოიგებს „ქართული ოცნება“, უცებ აირჩევს სხვა პრეზიდენტს არჩევნებამდე. ის უნდა დარჩეს პრეზიდენტად, იყოს კონსტრუქციულად კრიტიკული და ევროპისთვის საინტერესო ფიგურა. კანდიდატის სტატუსის მიღებისას ერთ-ერთი ძლიერი კომპონენტი იყო, პრეზიდენტის მხარდაჭერა. სალომე ზურაბიშვილი, როგორც პრეზიდენტი, აძლიერებდა ქართველი ხალხის ნებას. ამიტომ, მგონია, რომ კარგი იქნება პრეზიდენტი დარჩეს ბოლომდე.

# „ბევრი მიდიოდა ვითომ სამუშაოდ და ქრებოდა, ხან იყო ქურდობა“ — გერმანიასა და საქართველოს შორის მიგრაციის შესახებ შეთანხმება გაფორმდა




საქართველოს მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის მიგრაციისა და მობილობის შესახებ შეთანხმებას ხელი მოეწერა. ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ გერმანიიდან საქართველოს მოქალაქეების დეპორტაციის პროცესი კიდევ უფრო გამარტივდება – ვინც გერმანიაში არალეგალურად იმყოფება, უკან, სამშობლოში გამოუშვებენ. მეორე მხრივ, გერმანიაში ჩასული საქართველოს მოქალაქეები, კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, თავშესაფარს უფრო სწრაფად მიიღებენ.

ვახტანგ გომელაური ამბობს, რომ ბევრი მოქალაქე „ვითომ სამუშაოდ“ მიდიოდა, მისივე თქმით, დეპორტაცია არ შეეხება ისეთ ადამიანებს, რომლებიც გერმანიაში ლეგალურად მუშაობენ, ან ჯანმრთელობის ისეთი პრობლემა აქვთ, რომლის მკურნალობაც საქართველოში ვერ ხერხდება.

შეთანხმება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმდა, ხელი მოეწერა, მიგრაციისა და მობილობის შესახებ. პროექტში აღნიშნულია, რომ მხარეები მოახდენენ უკანონო მიგრაციისა და მისი ხელშეწყობის, ადამიანით ვაჭრობით, ტრეფიკინგის, დოკუმენტებისა და ვიზების ბოროტად გამოყენების პრევენციასა და მის წინააღმდეგ ბრძოლას.

ბევრი მიდიოდა ვითომ სამუშაოდ, მაგალითად, და მერე ქრებოდა, ხან სხვა ქვეყანაში ვპოულობდით, ხან იყო ქურდობა, სამწუხაროდ, გვინდა თუ არ გვინდა, ეს ხდება. ამაზეა საუბარი, თორემ, ადამიანი, რომელიც მუშაობს იქ პატიოსნად და ოფიციალურად გაფორმებულია, პრობლემა არ შეექმნება არანაირი. მკურნალობაზეც კიდევ ხაზს ვუსვამ, თუ რაღაც ისეთია, რომელიც ჩვენთან ვერ კეთდება და იქ კეთდება, არ იქნება არანაირი საუბარი მისი გამოძევების, მაგრამ კიდევ ვიძახი, თუ შეუძლია, რომ აქ რაღაც ოპერაცია გაიკეთოს, რომელიც საქართველოშიც კეთდება ჩვეულებრივად და არა მე ახლა მაინც და მაინც მინდა გერმანიაში, ან ამერიკაში, დაარღვია, ვადა გადავიდა, თორემ ვინც მკურნალობს და იქ არის წლები ვთქვათ ისეთი დაავადებით, რომელიც აქ არ იკურნება, იმას არავინ შეეხება, – ამბობს ვახტან გომელაური.

ცნობისთვის, მიმდინარე წლის 15 დეკემბერს, გერმანიის პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო აქტი საქართველოს უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნად აღიარების შესახებ.

# „გიგა ოთხოზორიას საქმე მოვიგეთ სტრასბურგში. რუსეთს 130.000 ევრო დაეკისრა“

ადვოკატის ინფორმაციით, სტრასბურგში გიგა ოთხოზორიას საქმე მოიგეს და რუსეთს 130.000 ევროს გადახდა დაეკისრა. ოჯახის სახელით, სტრასბურგში სარჩელი „საიამ“ შეიტანა:

– გიგა ოთხოზორიას საქმე მოვიგეთ სტრასბურგში. რუსეთს 130.000 ევრო დაეკისრა. გიგა ოთხოზორიას საქმე იყო ჩემი პირველი საქმე, რომელიც სტრასბურგში ვაწარმოე...

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ქალბატონ ჯულიეტა ჭანტურიას და ნინო მატკავას, რომლებიც იძულებული იყვნენ, ჩვენების აღების დროს, დეტალურად გაეხსენებინათ გიგას მკვლელობის დეტალები, რაც ძალიან მძიმე იყო.

ჩემი იდეა იყო, ამ საქმეში მომჩივანი ყოფილიყო არა მხოლოდ გიგა ოთხოზორიას დედა ან მეუღლე, არამედ მთელი ოჯახი, მათ შორის, ბავშვებიც. სიმბოლურია, რომ დღეს ბავშვებმა მოიგეს ეს ბრძოლა.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მხრიდან ამ გადაწყვეტილების აღსრულება, სავარაუდოდ, არ მოხდება, ძალიან მნიშვნელოვანი საქმეა. მარტივად რომ აგიხსნათ სამართლებრივი წიაღსვლების გარეშე, აფხაზი ე.წ. მესაზღვრე გადმოვიდა ჩვენს კონტროლირებად ტერიტორიაზე, მოკლა ჩვენი მოქალაქე და აღნიშნულ ფაქტზე ევროპულმა სასამართლომ პასუხისმგებლობა დააკისრა რუსეთის ფედერაციას. მაშინ, როდესაც იქნება დებატები, პირდაპირ ველაპარაკოთ აფხაზებს თუ არა, ყოველთვის გახსოვდეთ, რომ ევროპულმა სასამართლომაც კი თითოეულ მათ მოქმედებაზე პასუხისმგებელ პირად რუსეთი განსაზღვრა. მათ ქმედებებზე სრული კონტროლი აქვს რუსეთს და ეს ჩვენს კონტროლირებად ტერიტორიაზეც კი გავრცელდა. ყოველთვის ვიამაყებ, რომ მქონდა პატივი ოთხოზორიების ოჯახის ადვოკატი ვყოფილიყავი! დიდებული ოჯახის, რომლებიც აუცილებლად მიაღწევენ სამართალს! – წერს გიორგი ტაბატაძე.

30 წლის გიგა ოთხოზორია 2016 წლის 19 მაისს, საოკუპაციო ხაზთან, ხურჩა-ნაბაკევის გამშვებ პუნქტთან მოკლეს. მას შელაპარაკება ოკუპირებული აფხაზეთის საოკუპაციო ხაზთან მდგომ შეიარაღებულ ე.წ. მესაზღვრეებთან მოუვიდა. კონფლიქტის თავიდან არიდების მიზნით, ოთხოზორიამ გამშვები პუნქტის ტერიტორია დატოვა და საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიისკენ გამოემართა, თუმცა, მას ე.წ. მესაზღვრეები დაედევნენ, მათ შორის იყო რაშიდ კანჯი-ოღლი, რომელმაც ოთხოზორიას საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე რამდენჯერმე ესროლა.

სროლის შემდეგ წაქცეულ ოთხოზორიას, კანჯი-ოღლიმ თავში, საკონტროლო გასროლით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. ოთხოზორია ზუგდიდის საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პროკურატურამ ფიქციური გამოძიება დაიწყო და დე-ფაქტო სასამართლომ რაშიდ კანჯი-ოღლის აღკვეთის ღონისძიების სახით შინაპატიმრობა შეუფარდა. 2017 წლის 31 მაისს კი „მტკიცებულებების არარსებობის მოტივით“, ე.წ. პროკურატურამ გიგა ოთხოზორიას მკვლელობის საქმის გამოძიება და რაშიდ კანჯი-ოღლის სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყვიტა.

საიამ, საოკუპაციო ხაზთან მოკლული გიგა ოთხოზორიას ოჯახის წევრების სახელით, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, 2018 წელს მიმართა.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

სამართალი

## ვინ არის 25 წლის ქართველი, რომელიც პოლონეთში ღამის კლუბში მანქანით შევარდა

პოლონური მედიის ინფორმაციით, საქართველოს 25 წლის მოქალაქე დისკოთეკაზე ქალებს ავიწროებდა, რის გამოც დაცვის სამსახურმა მას კლუბის ტერიტორია დაატოვებინა. ამის შესახებ ადგილობრივი მედია წერს.



ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ქართველი, შურისძიების მიზნით, მეგობრის „მერსედესის“ ავტომობილით ჯერ კლუბის კარს შეეჯახა, შემდეგ კი დისკოთეკაზე ფანჯრიდან მანქანით შევარდა. მამაკაცი დაკავებულია. ზარალი 50.000 პოლონურ ზლოტს აღწევს.

## „111 ორსული ქალი ფიქტიურად გააფორმეს სამსახურში და 111.000 ლარი მიითვისეს“

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის განცხადებით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ, ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენების გზით, სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლების ფაქტებზე, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიეცა 6 პირი.

უწყება ამბობს, რომ ოთხი მეწარმე სუბიექტია, ხოლო ორი – კომპანიის ბუღალტერი.

გამოძიების ცნობით, 2020-2022 წლებში, ბრალდებულებმა ორსული ქალები ფიქტიურად გააფორმეს მათ მმართველობაში არსებულ საწარმოებში, რომ დეკრეტულ შვებულებაში მყოფი მოქალაქეებისთვის გათვალისწინებული დახმარება აეღოთ.



გამოძიებით დადგინდა, რომ დეკრეტულ შვებულებაში მყოფ მოქალაქეებზე გათვალისწინებული ფულადი დახმარების მოტყუებით დაუფლების მიზნით, ბრალდებულები, 2020-2022 წლებში, წინასწარ მოფიქრებული სქემის მიხედვით, დანაშაულებრივ გარიგებაში შევიდნენ ორსულ ქალებთან და ფიქტიურად გააფორმეს ისინი მათ მმართველობაში არსებულ საწარმოებში, რის შემდგომაც დაამზადეს ყალბი დოკუმენტები, რომელთა გამოყენებითაც, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ფიქტიურად დასაქმებული 111 პირის მიერ მიღებულ იქნა ორსულებისთვის გამოყოფილი ერთჯერადი ფულადი დახმარება – ჯამში 111.000 ლარის ოდენობით, რომელიც განაწილებულ იქნა ბრალდებულებსა და ორსულ ქალებს შორის“, – წერია უწყების განცხადებაში. მომხდარზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე, 210-ე და 180-ე მუხლებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 10 წლამდე ვადით.

## მეტროსადგურ „სამგორთან“ ქვეითს სატვირთო მანქანა დაეჯახა

თბილისში, მეტროსადგურ „სამგორთან“ ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. არსებული ინფორმაციით, შუქნიშანზე ქვეითს გადასვლისას სატვირთო მანქანა დაეჯახა.

დაშავებული მამაკაცი კლინიკაშია გადაყვანილი.

# „ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში თუ დაბრუნდა, გუნდს გამოცვლის“

## ვახტანგ ძაბირაძე: „კულისებში იქნება, თუ ოდნავ მაინც იგრძნო, რომ მის ძალაუფლებას საფრთხე ემუქრება ან კარგავს, იმავე წუთს გამოვა“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ვახტანგ, ბიძინა ივანიშვილის საზოგადოებრივ სივრცეში ღიად გამოჩენა ხომ არ არის ერთგვარი გზავნილი, რომ ის პოლიტიკაში ბრუნდება?***

– არა, არ მგონია, რომ ეს გზავნილი იყოს. ამ ფონზე „ქართულ ოცნებას“ ივანიშვილის დახმარება არ სჭირდება. ყველა სოციოლოგიური კვლევით, ოპოზიციიიდან მხოლოდ ორი პარტია გადალახავს ბარიერს. შესაბამისად, მმართველ პარტიას უმრავლესობის აღების არანაირი სირთულე არ აქვს. ოპოზიციურ ფლანგზე თუ კიდევ უფრო აირევიან და ვერ დალაგდებიან, მაშინ საერთოდ ვერავინ გადალახავს ბარიერს, ეს მთლად კატასტროფა იქნება. ამიტომ არ მგონია, რომ ბიძინა ივანიშვილის გამოჩენა უკავშირდებოდეს მის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გააქტიურებას.

***– პოლიტიკური ქვეტექსტები არ უნდა წავიკითხოთ?***

– არა. მე როგორც ვიცი, რამაზ ჩხიკვაძე მისი მეგობარი იყო. ამდენად, როგორც მეგობარმა, საიუბილეო საღამოზე პატივი მიაგო მის ხსოვნას. ეს არის და ეს. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თუ დასჭირდა, პოლიტიკაში არ დაბრუნდება და უარს იტყვის. ამ ეტაპზე არ სჭირდება.

***– თუ პოლიტიკაში დაბრუნება დასჭირდება, ისევ „ქართულ ოცნებას“ დაუჭერს მხარს, თუ სხვა ძალას შემოიყვანს პოლიტიკურ ასპარეზზე? „ოცნების“ ყოფილი წევრების მხრიდან მოსაზრება გამოითქვა, რომ სხვა გუნდზე დადებს ფსონს.***

– ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში თუ დაბრუნდება, მაშინ ფსონს ისევ „ქართულ ოცნებაზე“ დადებს, მაგრამ ერთი განსხვავებით. დღევანდელი გუნდიდან არავინ დარჩება „ოცნებაში“, ყველას გაუშვებს. ერთი სიტყვით, გუნდს გამოცვლის და ახალ გუნდს მოიყვანს. მათ შორის, პრემიერ-მინისტრსაც გამოცვლის. სრულიად ახალი ხალხით დაბრუნდება. ეს გუნდი მას უკვე არაფერში დასჭირდება.

***– რა შემთხვევაში დასჭირდება პოლიტიკაში დაბრუნება?***

– როდესაც ძალუფლების დაკარგვის რეალურ საფრთხეს იგრძნობს, იმ წუთში დაბრუნდება. ახლა ეს საფრთხე საერთოდ არ არსებობს.

***– რა უნდა გააკეთოს ოპოზიციამ, რომ რეალური ალტერნატივა გახდეს?***

– დღეს ეს არის უმთავრესი საკითხი ქართულ პოლიტიკურ ველზე. რა უნდა გააკეთოს ოპოზიციამ – უნდა გადაჯგუფდეს და ყველასათვის მისაღები ლიდერი მოძებნოს. ისეთი, რომელსაც არ ექნება მძიმე პოლიტიკური წარსული და რომელიც იქნება მეტ-ნაკლებად საზოგადოებისთვის, ხალხისთვის მისაღები. ასეთი ლიდერი შეიძლება პოლიტიკის მიღმაც იყოს მოძიებული. თუმცა, ამისთვის საჭიროა, ოპოზიციამ ამბიციები დათმოს და რეალურად გამარჯვებაზე იფიქროს.

***– როგორ ფიქრობთ, დღევანდელი მოცემულობით, „ქართული ოცნების“ 2024 წლის საარჩევნო სიას ვინ შეადგენს?***

– რასაკვირველია, ბიძინა ივანიშვილი. როგორი უნდა იყოს საარჩევნო სტრატეგია, საარჩევნო სია, რაზე უნდა იყოს უმთავრესი აქცენტი, ეს ყველაფერი შეთანხმებული იქნება მასთან. ვინ უნდა ჩამოიყვანონ კამპანიის დასაგეგმად, პიარის სპეციალისტები, ესეც მასთან იქნება შეთანხმებული. რა თქმა უნდა, ფინანსები სრულად ივანიშვილის იქნება. თუმცა, ბევრია უკვე „ოცნებაში“, ვისაც აქვს ფული.



ახლა იქნება კულისებში და როგორც აქამდე იყო, ისე დარჩება ყველაფერი, მაგრამ ოდნავ მაინც თუ იგრძნო, რომ მის ძალაუფლებას საფრთხე ემუქრება ან კარგავს, კულისებში კი არ დარჩება, იმავე წუთს გამოვა.

***– რას ეტყვის ხალხს?***

– ახალი რიტორიკა ექნება. ახალ გუნდს მოიყვანს და იტყვის, რომ ეს ხალხი გააკეთებს ყველაფერს. როგორც გითხარით, ახალ პრემიერს მოიყვანს და ახლი პროპაგანდა ექნება. თუმცა, ამ მოცემულობით, ივნიშვილი ნაბიჯს არ გადადგამს. კულისებში დარჩება თავისთვის. კულისებში უფრო კომფორტულად გრძნობს თავს.

***– თქვენ, ოპოზიციის გადაჯგუფებაზე საუბრობდით. რეალურად რამდენად აქვს ოპოზიციას შანსი, რომ არჩევნებზე ანგარიშგასაწევი ძალა გახდეს?***

– თეორიული შანსი არის, მაგრამ პრაქტიკაში რამდენად შეძლებენ მის განხორციელებას, ვერ გეტყვით. თუ შეძლებენ ძლიერი დაჯგუფების ფორმირებას, ძლიერი ლიდერით, მაშინ მართლაც არის შანსი, რომ სწორედ ოპოზიციამ აიღოს უმრავლესობა და არა „ოცნებამ“. თუმცა, ამისთვის მუშაობა ახლავე უნდა დაიწყონ; მერე უკვე გვიან იქნება.

# ამირან სალუქვაძე: „პრემიერის მოხსენებაში, მეტწილად, წარმოდგენილი იყო ციფრები და სტატისტიკა, რაც ბევრად უფრო დამაჯერებელია“



განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, ნოდარ პაპუკაშვილი პრემიერმინისტრის მიერ წარდგენილ მთავრობის საქმიანობის ანგარიშს აფასებს.

როგორც მან „კვირასთან“ საუბარში აღნიშნა, მთავრობის მეთაურის გამოსვლაში ხაზგასმული იყო განათლების მიმართულებით არსებული პრიორიტეტული საკითხები.

– შესანიშნავი გამოსვლა იყო, მათ შორის, განათლების მიმართულებით, რომელიც შეეხებოდა როგორც ზოგად განათლებას, ასევე, პროფესიულ და უმაღლეს განათლებას. ძალიან მკაფიოდ იქნა ხაზგასმული ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების თაობაზე, მასწავლებლის ანაზღაურებაზე, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენ ქვეყანაში. ხაზი გაესვა ასევე მასწავლებლის პროფესიის დაფასებას, როდესაც განათლების სამინისტრომ შემოიღო მასწავლებლის ეროვნული პრემია და დააწესა მასწავლებლის ეროვნული დღე მნიშვნელოვანია ასევე სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარებაც, – აღნიშნა ნოდარ პაპუკაშვილმა.

მინისტრის მოადგილემ განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით არსებულ სხვა პროგრესსა და პრიორიტეტულ მიმართულებებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია, როდესაც სახელმწიფო დებს დიდ ფინანსურ რესურსს აღნიშნული პროექტების განხორციელებაში

– პრემიერის გამოსვლაში ხაზგასმული იყო ასევე პროფესიული განათლების თაობაზეც. ეს ძალიან მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ როდესაც განათლების და მეცნიერების მინისტრად დაინიშნა გიორგი ამილახვარი, მან პრიორიტეტად დაასახელა ეს მიმართულება.

პროფესიული განათლების განვითარების კუთხით მინდა, გამოვყო რამდენიმე ასპექტი, პირველ ყოვლისა, ეს არის კერძო სექტორისთვის შეთავაზება, რაც ნიშნავს იმას, რომ მორგებულ იქნეს შრომის ბაზრის საჭიროებიდან გამომდინარე შესაბამისი პროფესიები, რომელიც დააკმაყოფილებს როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო მოთხოვნებს. ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც სახელმწიფო დებს დიდ ფინანსურ რესურსს აღნიშნული პროექტების განხორციელებაში.

გვერდს ვერ ავუვლი კვალიფიკაციების გადახედვის საკითხს. საჭირო კვალიფიკაციები ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად უნდა იქნეს შემოღებული. მოკლედ, გვაქვს დიდი გეგმები, რომლებიც განხორციელების პროცესშია, – განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

ნოდარ პაპუკაშვილი უმაღლესი განათლების საკითხსაც შეეხო და თქვა, რომ საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემამ საერთაშორისო საკრედიტაციო ორგანოსგან მორიგი წარმატებული შეფასება დაიმსახურა.

– ჩვენმა უმაღლესი განათლების სისტემამ მორიგი წარმატებული შეფასება დაიმსახურა საერთაშორისო სააკრედიტაციო ორგანოს მხრიდან. გარდა ამისა, გაორმაგდა სტიპენდიები 150-დან 300 ლარამდე. ასევე, გაიზარდა სტიპენდიის მიმღები სტუდენტების რიცხვი 5.000-მდე. გარდა ამისა, ასეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯები სტუდენტთა მიმართ არ დაფიქსირებულა ათწლეულების განმავლობაში.

ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია ფინანსური პრობლემების გამო სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის დავალიანების ჩამოწერა. დაახლოებით 30 000-მდე სტუდენტს ჩამოეწერა დავალიანება და ისინი თავისუფლად შეძლებენ გააგრძელონ სწავლა, – აღნიშნა ნოდარ პაპუკაშვილმა.

– მნიშნელოვანია ის, რომ მოხსენება მთლიანად იყო მიმართული მთავრობის საქმიანობის გაშუქებისკენ და იყო მეტწილად ციფრები და სტატისტიკა. ციფრები ყოველთვის უფრო დამაჯერებელია, ვიდრე უბრალოდ სიტყვები, – ასე აფასებს სამხედრო ანალიტიკოსი, ამირან სალუქვაძე პრემიერის, მთავრობის 2023 წლის ანგარიშს.

როგორც სალუქვაძე აღნიშნავს, მნიშვნელოვანია, რომ ერთ მოხსენებაში თავმოყრილი იყო არა მხოლოდ გასული წლის, არამედ – „ქართული ოცნების“ მთელი საქმიანობა.

– ეს ძალიან კარგი მასალაა ექსპერტებისა და ხელისუფლების ოპონენტებისთვის იმისათვის, რომ თუნდაც კრიტიკული თვალით შეაფასონ ხელისუფლების საქმიანობა.

იყო უფრო ტექნოკრატული მოხსენება, რაც გაცილებით უფრო ეფექტიანია მსმენელისთვის. კონკრეტული ციფრების მოსმენა მნიშვნელოვანია ამომრჩევლებისთვისაც.

ხელისუფლების ოპონენტები მუდმივად აკრიტიკებენ ეკონომიკურ მაჩვენებლებს. იმ ციფრებში, რაც ირაკლი ღარიბაშვილმა გაახმოვანა მოხსენებაში, ვისაც აქვს უნარი – დაინახავს, თუ სად და როგორ მიედინება ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი და როგორ აისახება ეს კონკრეტულად მოსახლეობაზე.

გამოვყოფდი ბიუჯეტის ზრდას თავდაცვის მიმართულებით, მილიარდ სამას მილიონზე მეტი იქნება, მათ შორის, პრემიერმა ისაუბრა შესყიდვებთან დაკავშირებით, სამხედრო მრეწველობაზე და ა.შ. ვფიქრობ, თავდაცვის ბიუჯეტის ზრდის ტენდენცია უნდა გაგრძელდეს. დღეს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს რესურსებსა და მარაგებს. ასევე, მისასალმებელია ხელფასების ზრდის ტენდენცია, რომელიც არამხოლოდ ძალოვან სტრუქტურებშია ბოლო რამდენიმე წელია, – აღნიშნა ანალიტიკოსმა.



ამირან სალუქვაძე პრემიერის ანგარიშიდან ორ სფეროს გამოჰყოფს, რომელიც, მისი თქმით, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია და მიიჩნევს, რომ ამ სფეროებში პროგრესი ხელშესახებია.

– თავდაცვის სფეროს გარდა, კიდევ გამოვყოფდი ორ სფეროს, რაც ჩვენნაირი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ხელისუფლება არის ორიენტირებული ამ სფეროებზე. ეს არის ჯანდაცვა და განათლება.

განათლება აბსოლუტურად ყველაფრის საფუძველია. ხარისხიანი და საფუძვლიანი განათლების გარეში სერიოზული წინსვლა ვერ გვექნება. ასევე, მნიშვნელოვანი სექტორია ჯანდაცვა. ამ ორ სექტორზე გაისად დაიხარჯება 10 მილიარდი დაახლოებით.

ჯანდაცვის სფეროზე რომ ვისაუბროთ, საკმაოდ საინტერესო რიცხვები გაჟღერდა. თუ არ ვცდები, 9 მილიარდი დაიხარჯა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაზე, ეს ნიშნავს ძალიან ბევრ გადარჩენილ და გახანგრძლივებულ სიცოცხლეს. აღარ ვსაუბრობ მძიმე დაავადებებზე, რომელთა მკურნალობის ხარჯებს მთლიანად თავის თავზე იღებს სახელმწიფო, მაგალითად, ონკოლოგიურ დაავადებებს, ღვიძლის გადანერგვის დაფინანსებას.

კიდევ ერთხელ მინდა, ალვნიშნო, რომ ამ მონაცემებს, რაც გაჟღერდა საექსპერტო, წრეებში დიდი გამადიდებელი შუშით უნდა დააკვირდნენ, შეაფასონ და სადაც თვლიან, რომ არის გასაუმჯობესებელი, იმ საკითხზე შევიდნენ საქმიან დებატებში, – განაცხადა სალუქვაძემ.

ინფორმაციისთვის, პრემიერმინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის საქმიანობის ანგარიში გუშინ წარადგინა.

ეროვნული

# „ევროკავშირი რუსეთიდან გრძელვადიან საფრთხეს ვერ აცნობიერებს“

## აგრესორ რუსეთში მეფრინველეობაში საბოტაჟის მომწყობებსა და მავნებლებს ეძებენ

მარიამ მჭედლიშვილი

უცხოელი ანალიტიკოსები და გავლენიანი პოლიტიკოსები არ გამორიცხავენ, რომ უკრაინაში ომის გაყინვამ ან პაუზამ შეიძლება რისკი შეუქმნას სხვა ქვეყნებს. საუბარია ნატოს წევრ სახელმწიფოებზეც კი. ექსპერტების ნაწილის ვარაუდით, რუსეთი ნატოს ვერ შეუტევს, კრემლმა იერიშები შეიძლება მიიტანოს ნატოს არაწევრ პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე. მაგალითად, საქართველოსა და სომხეთზე. მნიშვნელობა არა აქვს, არის თუ არა საქართველოს ხელისუფლება ლოიალური რუსეთის მიმართ.

რა პრობლემებია რუსეთის შიგნით? რა ემუქრება ევროპას? შეუძლიათ თუ არა ევროპელ ლიდერებს უკრაინასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება დამოუკიდებლად? როდის არ ცრუობს პუტინი? ამ და სხვა საკითხებზე რადიო „თავისუფლების“ რუსულ სამსახურს კრემლის კრიტიკოსი ექსპერტები ესაუბრნენ.

**ეკონომიკური მიმომხილველი მაქსიმ ბლანტი:**

– კვერცხის დეფიციტი, რომელიც ახალი წლის წინ წარმოიშვა რუსეთში, ეროვნული კატასტროფის ტოლფასია. მოსახლეობა თუ ახლა სასოწარკვეთას მიეცა, გაზაფხულზე, ტრადიციული ავიტამინოზის ფონზე, არჩევნები (პრეზიდენტის არჩევნები) შეიძლება სათანადო ენთუზიაზმისა და ალმაფრენის გარეშე ჩატარდეს.

ხელისუფლება ცდილობს, მდგომარეობა შეძლებისდაგვარად მოაწესრიგოს. გენერალური პროკურატურა ამოწმებს მეფრინველეობის ფაბრიკებსა და სავაჭრო ქსელებს. როგორც ჩანს, ეს ხდება საბოტაჟის მომწყობების, მავნებლებისა და არამეგობარი სახელმწიფოების აგენტების გამოვლენის მიზნით.



**პოლიტოლოგი კირილ როგოვი:**

***– რატომ არაა მზად ევროპა გაჭიანურებული ომისთვის და რატომ ვერ ხედავენ ევროპელები ევროპისკენ მიმართულ პირდაპირ მუქარას, თუ უკრაინა ომს წააგებს?***

– ევროპელებისთვის ამ მომენტში შიდა პრობლემები უფრო აქტუალურია. ევროპის ქვეყნები გრძელვადიან საფრთხეს ვერ გრძნობენ. ეს დემოკრატიის მუდმივი პრობლემაა: სანამ არ არის უფრო ფართო თანხმობა, იმყოფები სუსტ სტრატეგიულ მდგომარეობაში.

ძალიან მნიშვნელოვანია ის, რაც აშშ-ში ხდება. ტრამპთან მარცხის პერსპექტივა (პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში) ბაიდენის ადმინისტრაციის ისეთ ფრუსტრირებას ახდენს, რომ აღარ შეუძლია სტრატეგიული საკითხებით დაკავება. ევროპაში არაა აქტორი, რომელიც ამ ინიციატივას იკისრებდა. გერმანიის ლიდერები ამისთვის მზად არ არიან.

***– გერმანია თავის თავზე ლიდერობას ვერ აიღებს ისტორიული მეხსიერების გამო, თუ მისი სამხედრო მანქანა ჯერ არ არის მზად ევროპის ცენტრში ომისთვის?***

– აქ ისტორიული მეხსიერება არ თამაშობს როლს. გამომუშავებულია ლიდერობის მექანიზმი, რომელიც არ გაძლევს ამის საშუალებას. მსოფლიო წესრიგის სტრატეგიული ხედვის პრობლემები აშშ-ის კომპეტენციაში რჩება.

**პოლიტოლოგი ივან პრეობრაჟენსკი:**

***– ცოტა ხნის წინ პუტინმა 4-საათიანი შეხვედრა მოაწყო ჟურნალისტებთან. რატომ გამოვიდა, გაუგებარია. სოციალურ პრობლემებზე მკაფიო პასუხები არ გაუცია. რისთვის იყო საჭირო საკუთარი უფერულობის დემონსტრირება?***

– პუტინს არ უთქვამს არაფერი ახალი, საინტერესო და შინაარსიანი. მგონია, რომ ეს მისი აბსოლუტურად გააზრებული პოზიციაა. ეს პოზიცია გამოხატავს შემდეგს: „აბსოლუტურად უალტერნატივო ვარ, არავითარი არჩევანი არ გექნებათ, არავითარი არჩევნები გათვალისწინებული არ არის. იმ შეკითხვებს, რომლებიც გაწუხებთ, ახლა არ ვუპასუხებ. უნდა შეიგნოთ, რომ მე სხვა რამ მაღელვებს – ომი. თუ გინდათ თქვენს ქვეყანაში მშვიდად არსებობა, მომყევით. მე თქვენ ანგარიშს არ გაგიწევთ“.

***– სად მიმართავს პუტინი ბლეფს და სად უნდა აღვიქვათ მისი სიტყვები სერიოზულად?***

– ვლადიმირ პუტინი იტყუება ყველა იმ საკითხში, რომელიც თვითონ ნაკლებად აინტრესებს. ეს მაშინაც ჩანს, როცა ის აბსოლუტურად მარცხენა ციფრებს აფრქვევს. ეს მონაცემები მას ან მრჩევლებმა მიაწოდეს, ან თვითონ აურ-დაურია.

პუტინისთვის ყველაზე დამახასიათებელია მტკნარი სიცრუე. ის იტყუება ყოველგვარი უხერხულობის გარეშე. როცა საქმე ეხება განზრახვებს უკრაინის მიმართ, აქ, ვშიშობ, მას დაეჯერება.

***– შეიძლება თუ არა ითქვას, რომ პუტინი დარწმუნებულია თავის დაუსჯელობაში და ირიბად აღიარებს, რომ ნადირობს ოპოზიციონერებზე, რომ მძევლად აიყვანა ამერიკელი ჟურნალისტი ევან გერშიკოვსკი და ახლა ვაჭრობს მის გაცვლაზე?***

– ამ მხრივ პუტინი დაფარული არ არის. ის „კგბ“-ს ოფიცერია, რომლისთვისაც ეს ნორმატიული ლექსიკა და ტაქტიკაა. პუტინი ესაუბრება არა მარტო რუსეთის მოსახლეობას, ის ელაპარაკება დასავლელ კოლეგებს. ერთ-ერთი დიდი პრობლემაა ომი დასავლეთთან: დასავლეთში მყოფი რუსეთის ოპოზიციის განადგურება, მძევლების აყვანა. ეს ყველაფერი ამ ომის ნაწილია. პუტინი ამ ომზე პირდაპირ ლაპარაკობს.

**დაპატიმრებული ოპოზიციონერი ნავალნის გუნდის წევრი ივან ჟდანოვი:**

***– თავის დროზე თქვენმა გუნდმა შეადგინა 6-ათასკაციანი სასანქციო სია. სიაში შეყვანილი არიან პუტინისა და უკრაინაში ომის მომხრეები. რა ბედი ეწია ამ სიას?***

– სიის ბედი პოზიტიურია. ბევრი ქვეყანა ორიენტირებულია ამ სიაზე. ბევრი მათგანი გვთხოვს პრიორიტეტული ჯგუფების გამოყოფას. ჩვენ ზოგი ქვეყნისთვის მოკლე სიები შევადგინეთ. კერძოდ, 200-კაციანი სია.

***– გაირკვა თუ არა ნავალნის ადგილმდებარეობა?***

– ძებნამ ვერანაირი შედეგი ვერ მოიტანა. ალექსეი ნავალნის ისტორია უპრეცედენტოა. ეს ის შემთხვევაა, როცა ვერანაირი გზით ინფორმაციას ვერ იგებ, სად იმყოფება ეს ადამიანი. მას მოსამართლემაც კი ვერ მიაკვლია. შესაძლოა, ნავალნი საავადმყოფოში იყოს.

# „უმუშევრობის დონე ისტორიულ მინიმუმამდე, 17%-მდე შემცირდა“

## ირაკლი ღარიბაშვილი: „ბიუჯეტი 2012 წელს იყო დაახლოებით 8 მილიარდ 500 მილიონამდე, გაისად იქნება 28 მილიარდ 700 მილიონი“



– ბიუჯეტი 2012 წელს იყო 8 მილიარდზე მეტი, დაახლოებით 8 მილიარდ 500 მილიონამდე, გაისად იქნება 28 მილიარდ 700 მილიონი. აქაც თითქმის გავასამმაგეთ ბიუჯეტი ბოლო 11 წელიწადში, 20 მილიარდით გაიზარდა ჩვენი ქვეყნის მთლიანი ნაერთი ბიუჯეტი, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის მუშაობის 2023 წლის ანგარიშის წარდგენისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ბოლო 3 წელიწადში მთელი ქვეყნის ეკონომიკა გაიზარდა 30 მილიარდი ლარით.

– რაც შეეხება კონკრეტულ შედეგებს, მე მინდა საზოგადოებას შევახსენო, თუ როგორი ეკონომიკა ჩაიბარა ქართულმა ოცნებამ 2012 წელს. შეგახსენებთ, მაშინ კარგად გახსოვთ, რომ ბიუჯეტის შევსების უმთავრესი გზა იყო ბიზნესის რეკეტი, მაღალი იყო სიღარიბე, თითქმის 30 პროცენტზე მეტი იყო სიღარიბე და უმუშევრობაც ამდენივე.

და არავითარი პერსპექტივა ქვეყანაში არ არსებობდა, დემოკრატიაზე ჩვენ, რა თქმა უნდა, ცალკე ვისაუბრებთ, მაგრამ ეკონომიკით რომ დავიწყოთ და პირველი თავი მიეძღვნება ეკონომიკას, ერთგვარი ანალიზი და შედარებითი ანალიზი მინდა გავაკეთო, მაშინ არავითარი პერსპექტივა არ არსებობდა. ბიზნესი იყო აბსოლუტურად დე მოტივირებული, არავითარი პროგნოზირებადობა, განჭვრეტადობა არ არსებობდა, პირიქით, ბიზნესს ჰქონდა მხოლოდ ნეგატიური პროგნოზები და მოლოდინები, ქვეყანაში იყო დამყარებული რეალურად ავტოკრატიული რეჟიმი, უსამართლო რეჟიმი, რომელიც ჩაგრავდა ჩვენს მოქალაქეებს, ომგამოვლილ მოქალაქეებს. იმ ომგამოვლილ მოქალაქეებს, რომელიც თავად იმ ხელისუფლებამ ვერ აარიდა საკუთარ ხალხს და შედეგად დღეს 20 პროცენტი არის ოკუპირებული.

შეგახსენებთ, რომ მთელი ქვეყნის ეკონომიკა, მთლიანი შიდა პროდუქტი იყო დაახლოებით 27 მილიარდი ლარი, დღეს, წელს 80 მილიარდი ლარი იყო მთლიანი შიდა პროდუქტი და 2024 წელს გახდება 86 მილიარდი ლარი, ბოლო 11 წელიწადში, „ქართული ოცნების“ მართველობის დროს, ქვეყნის ეროვნული ეკონომიკა 3-ჯერ გაიზარდა, 27 მილიარდი ლარიდან 80 მილიარდ ლარამდე, ბიუჯეტი 2012 წელს იყო 8 მილიარდზე მეტი დაახლოებით 8 მილიარდ 500 მილიონამდე, გაისად იქნება 28 მილიარდ 700 მილიონი. აქაც თითქმის გავასამმაგეთ ბიუჯეტი ბოლო 11 წელიწადში, 20 მილიარდით გაიზარდა ჩვენი ქვეყნის მთლიანი ნაერთი ბიუჯეტი.

ბოლო 11 წელიწადში, ეს არის კონკრეტული შედეგი, რომელზეც მინდა ვისაუბრო დღეს თქვენთან ერთად, ასევე მინდა გითხრათ რომ მხოლოდ 3 წელიწადში, ბოლო 3 წელიწადში გაიზარდა 30 მილიარდი ლარით, მთელი ქვეყნის ეკონომიკა, ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით წელს უკვე 8.100 დოლარს შეადგენს მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე და 2024 წელს 8.500 დოლარს გადააჭარბებს, ბოლო ორი წელი იყო ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან ჩვენ ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვქონდა, წელსაც, მიუხედავად აი ამ დიდი გამოწვევებისა და კატაკლიზმებისა, რომელიც ხდება ამ ჩვენს რეგიონში და მთელ მსოფლიოში, მაშინ, როცა წამყვანი ეკონომიკების ეკონომიკა მცირდება და ბევრგან ვარდნაა სერიოზული, ჩვენ მოვახერხეთ ბოლო ორი წელი 10 პროცენტით მეტით გაგვეზარდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, წელს 7 პროცენტის ფარგლებში გვაქვს ეკონომიკური ზრდა, ინფლაციის სრული ასე ვთქვათ კონტროლი მოვახერხეთ, ინფლაცია სამიზნე მაჩვენებელს ქვემოთ არის, 1 პროცენტზე ქვემოთ ჩამოვიდა ინფლაცია, ეს წნეხი მთლიანად მოიხსნა და შარშან რაც გვქონდა, ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა არის ფასები და ინფლაციის ზრდა, ეს რისკებიც, ეს საფრთხეც მთლიანად მოხსნილია, შეიძლება ამაყად ითქვას, ამ წლის მუშაობის შედეგი არის სწორედ ინფლაციის მართვა და კონტროლი, ასევე მინდა გითხრათ, რომ მსოფლიო ბანკის კლასიფიკაციით, – განაცხადა პრემიერმა.

– 2012 წელს დღგ-ს ზედმეტობის სახით ბიზნესს დაუბრუნდა 140 მლნ ლარი, წელს უკვე დაუბრუნდა 2 მილიარდ 200 მილიონი ლარი და მომდევნო წელს დაბრუნებული თანხა იქნება 2 მილიარდ 500 მილიონი ლარი, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა წლიური ანგარიშის წარდგენისას განაცხადა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, ეს ინიციატივა ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნის და აღნიშნულმა რეფორმამ ძალიან ბევრი თავისუფალი ფული გაუჩინა ბიზნესს და ბიზნესმა რეალურად ამოისუნთქა.

– 2022 წელს საქართველოს ექსპორტმა 5.6 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. 2012 წელთან შედარებით ეს არის 135%-იანი ზრდა. წელს იანვარ-ნოემბერში საქონლის ექსპორტი 11 პროცენტით არის გაზრდილი წინა წელთან შედარებით და შეადგინა 5.6 მილიარდი დოლარი, რაც ისტორიული, რეკორდული მაჩვენებელია და 2012 წელთან შედარებით ეს არის თითქმის 2.5-ჯერ ზრდა, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასი წელს 2012 წელთან შედარებით მინიმუმ გაორმაგებულია. სასოფლო სამეურნეო მიწის საშუალო ფასები 3.5-ჯერ არის გაზრდილი, რაც ძალიან დიდი მოტივაციაა ფერმერებისთვის და მოქალაქეებისთვის.

– კიდევ ერთი საინტერესო მონაცემი მინდა გაგიზიაროთ. ინფორმაცია შეეხება დასრულებულ მშენებლობებსა და ზოგადად, უძრავი ქონების ფასს. ხომ საინტერესოა, ზოგადად გავიხსენოთ, რა მდგომარეობა იყო 2012 წელს და დღეს რა მდგომარეობა გვაქვს ამ სექტორში. 2013 წლიდან 2023 წლის სექტემბრის ჩათვლით საქართველოში ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტების საერთო ფართობმა 23.5 მლნ. კვ.მ შეადგინა. მათ შორის: დასრულებული საცხოვრებელი შენობების საერთო ფართობი 15.1 მლნ. კვ.მ-ს შეადგენს.

2012 წელს, საშუალო ხელფასი, დასაქმებულთა საშუალო ხელფასი იყო დაახლოებით 750 ლარი. 1.850 ლარამდე არის გაზრდილი, ანუ 2.5-ჯერ გაიზარდა დასაქმებულთა საშუალო ხელფასი ბოლო 11 წელში, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის მუშაობის 2023 წლის ანგარიშის წარდგენისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ბიზნესსექტორში საშუალო ხელფასი 2012 წელთან შედარებით ასევე 2.5-ჯერ არის გაზრდილი.

– მინდა გითხრათ, რომ მსოფლიო ბანკის კლასიფიკაციით საქართველო გადავიდა საშუალოზე მაღალი შემოსავლის ქვეყნებს შორის. პროგნოზების თანახმად, უკვე 2028-2030 წლებში საქართველო დაუახლოვდება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ე.წ. მედიანურ სტანდარტს, ანუ ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების იმ დონეს, მსყიდველუნარიანობის გათვალისწინებით, რაც დაახლოებით საშუალოდ დღეს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს აქვთ.

რაც შეეხება ზოგადად დასაქმებულთა რაოდენობასა და ხელფასებს. ვფიქრობ, საინტერესო იქნებოდა შედარება გავაკეთოთ აქაც. 2012 წელს, საშუალო ხელფასი, დასაქმებულთა საშუალო ხელფასი იყო დაახლოებით 750 ლარი. 1.850 ლარამდე არის გაზრდილი ანუ 2.5-ჯერ გაიზარდა დასაქმებულთა საშუალო ხელფასი ბოლო 11 წელში.

ასევე ანალოგიურ პერიოდში, ბიზნესსექტორში, საშუალო ხელფასი 2012 წელთან შედარებით ასევე 2.5-ჯერ არის გაზრდილი, 780 ლარიდან 2.000 ლარამდე. – განაცხადა პრემიერმა

მთავრობის მეთაურის თქმით, 2022 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, 2012 წელთან შედარებით გაზრდილია 2-ჯერ და შეადგინა 2.1 მილიარდ აშშ დოლარი.

– ასევე, შედარებისთვის მინდა გითხრათ, რომ 2003-2012 წლებში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, წლიურად საშუალოდ 950 მილიონი დოლარი იყო, 2013-2022 წლებში, ეს რიცხვი 1.5 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა, აქაც თითქმის 60%-იანი ზრდა, ბოლო 11 წელიწადში.

2022 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, 2012 წელთან შედარებით გაზრდილია 2-ჯერ და შეადგინა 2.1 მილიარდ აშშ დოლარი, – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, უმუშევრობის დონე ისტორიულ მინიმუმამდე, 17%-მდე შემცირდა.

– ბოლო 11 წლის განმავლობაში, სიღარიბე ფაქტობრივად განახევრდა. 2012 წელთან შედარებით ნახევარ მილიონზე მეტმა ადამიანმა დააღწია თავი სიღარიბეს.

ეს არის „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მმართველობის კიდევ ერთი კონკრეტული შედეგი.

ბიზნესსექტორში სამუშაო ადგილების რაოდენობა 2022 წელს, 2012 წელთან შედარებით, გაზრდილია 1.5-ჯერ – 245 ათასით.

მესამე კვარტალში ბიზნესსექტორში სამუშაო ადგილების რაოდენობა ასევე გაიზარდა. მოქმედი ბიზნესსუბიექტების რაოდენობა 2022 წელს, 2012 წელთან შედარებით, 71%-ით არის გაზრდილი – 119 ათასიდან 205 ათასამდე გაიზარდა.

ახლადრეგისტრირებულ ბიზნესსუბიექტთა რაოდენობა, შარშან, 2012 წელთან შედარებით, თითქმის გაორმაგდა 40 ათასიდან 77 ათასამდე.

ბიზნესსექტორის ბრუნვის მონაცემები მინდა გაგიზიაროთ, 2012 წელთან შედარებით 4-ჯერ გაიზარდა ბიზნესსექტორის ბრუნვა, 42 მილიარდი ლარიდან 181 მილიარდ ლარამდე.

ასევე, 2022 წელს, 2012 წელთან შედარებით გაზრდილია 3-ჯერ ბიზნესსექტორის გამოშვება, 23 მილიარდი ლარიდან 71 მილიარდ ლარამდე.

უკვე წელს, იანვარ-სექტემბერში ბიზნესსექტორის ბრუნვა 12.6%-ით გაიზარდა, 143 მლრდ. ლარი შეადგინა ბიზნესსექტორის ბრუნვამ, ხოლო ბიზნესსექტორის გამოშვებამ 54 მლრდ. ლარი, – განაცხადა პრემიერმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ ინყებოდა თბილისის ომი

**გთავაზობთ ინტერვიუს საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრ თენგიზ სიგუასთან, რომელიც ჟურნალ „გუმბათში“ გამოქვეყნდა.**

***– ბატონო თენგიზ, თბილისში დაწყებული სამხედრო დაპირისპირების ფონზე იყო თუ არა კონტაქტი რუსეთის ხელმძღვანელობასთან?***

– 27 დეკემბერს რუსეთის რადიოკომპანიამ გაავრცელა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ შედგა სატელეფონო საუბარი ზვიად გამსახურდიასა და ბორის ელცინს შორის. გამსახურდიას თხოვნას მათი შეხვედრის თაობაზე, არადროული უწოდა. რამდენადაც საქართველოში არ არის დაცული ადამიანის უფლებები, არ არის ნათელი, რით დამთავრდება მწვავე პოლიტიკური დაპირისპირება და სანამ არ დარეგულირდება სიტუაცია სამხრეთ ოსეთში. ბორის ელცინმა დაადასტურა, რომ საბჭოთა არმიის ნაწილები და შინაგანი ჯარები კონფლიქტში არ ჩაერევიან და შეინარჩუნებენ ნეიტრალიტეტს. რადგანაც მისი თქმით, ამიერკავკასიაში ნაციონალურ კონფლიქტებში ისედაც საკმაოდ ბევრი რუსეთის ყმაწვილები დაშავდნენ.

იმავე დღეს ფრანს-პრესის სააგენტომ გადასცა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზვიად გამსახურდიამ გამოთქვა სურვილი საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში გაწევრიანების შესახებ. შესაბამისი შინაარსის მიმართვა საქართველოს პარლამენტის წევრებმა გადასცეს აზერბაიჯანის პრეზიდენტ აიაზ მუთალიბოვს. რომელმაც თავის მხრივ შეატყობინა ამის თაობაზე ბორის ელცინს. რუსეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, აღნიშნული საკითხი განიხილება 30 დეკემბერს დანიშნულ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრაზე.

***– მთავრობის სასახლეში რა მდგომარეობა იყო ამ დროს?***

– 28 დეკემბერს შემოსული ინფორმაციით დასტურდება, რომ გარემოცვა ინფორმაციულ ვაკუუმში ამყოფებს პრეზიდენტს. მას არწმუნებენ, რომ ახალ წლამდე ოპოზიცია განადგურებული იქნება და მასთან მოლაპარაკებაზე წასვლა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. მას უმალავენ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ბუნკერს ყოველდღიურად ასეულობით შეიარაღებული პირი ტოვებს. თუმცა ზვიად გამსახურდია შინაგანად გრძნობს, რომ მისი ხალხი ბრძოლის ველიდან გარბის. ამას ადასტურებს ბუნკერში არსებული სიტუაციის თვითმხილველის, უზენაესი საბჭოს დეპუტატის, მწერალ ირინა ტალიაშვილის ჩანაწერებიც. ამონარიდი ამ ჩანაწერებიდან:




პრეზიდენტს მეომრებისთვის უთქვამს, თუ პირობას მომცემთ რომ არ მიღალატებთ და ბრძოლის ველიდან არ გაიქცევით, მეც თქვენთან ერთად ვიბრძოლებო.

მთავრობის სახლში როგორც თვითმხილველები მოგვითხრობდნენ, უმძიმესი ფსიქოლოგიური სიტუაცია იყო შექმნილი. ყველა ერთმანეთს ეჭვის თვალით უყურებდა. ამონარიდი ტალიაშვილის იმავე ჩანაწერიდან:

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამიერიდან პრეზიდენტის ენას სიტყვა მოღალატე აღარ დასცდენია. ორგული იმდენად ბევრი აღმოჩნდა, რომ ბრალდებამ აზრი დაკარგა.

ბუნკერში არსებული სიტუაციის სიმძიმეს ადასტურებს თავდაცვის მინისტრის მოადგილის ბესო ქუთათელაძის ჩანაწერებიც. გთავაზობთ ამონარიდს ამ ჩანაწერებიდან:

– შევხვდი ბატონ ზვიადს და დავრწმუნდი, რომ პრეზიდენტისთვის უცხო გავხდი და ბუნკერში ჩემი მოღვაწეობა დასასრულს მიუახლოვდა. არავითარი სურვილი არ მქონდა პრეზიდენტი დამეტოვებინა იმ გარემოცვაში, რომელშიდაც იმყოფებოდა. მაგრამ ის გარემოცვა გაცილებით ძლიერი და მოხერხებული აღმოჩნდა. დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია, როცა პრეზიდენტის ახლობელმა ქალბატონმა პირდაპირ მითხრა, რომ მე დავალებული მქონდა პრეზიდენტის თვითმკვლელობამდე მიყვანა.

ბოლო ღამემ ნათლად დაგვანახა, რომ ოპოზიციის მიერ შეთავაზებული წინადადებები ხელისუფლების წარმომადგენლებმა გაიგეს როგორც იმის დამადასტურებელი, რომ ოპოზიცია მარცხდება და მხოლოდ ამიტომ უნდათ სროლის შეჩერება. ასეთი აზრი ხელისუფლებაში აძლიერებდა სურვილს, რადგაც არ უნდა დაჯდომოდათ გაემარჯვათ.

***– ქვეყნის პირველი პირის პოზიცია როგორი იყო?***

– 1991 წლის 28 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიმართვა ქართველი ერისადმი. ეს ძალიან საინტერესო. მიმართვაა და მისი მთლიანი ტექსტის გამოქვეყნება ალბათ სასურველი იქნება:

– ძვირფასო თანამემამულენო, დიდია დღევანდელი განსაცდელი საქართველოსი, მაგრამ ჩვენი ნათელი მიზანი, ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობა, ჩვენი რწმენა არჩეული გზის სიმართლისა შთაგვბერავს ძალას და მიგვიყვანს საბოლოო გამარჯვებამდე. მთელი მსოფლიოს პროგრესული, დემოკრატიული ძალები მხარს უჭერენ საქართველოს კონსტიტუციურ ხელისუფლებას, ესალმებიან ჩვენს თავისუფალ სახელმწიფოს, უკვე ოცზე მეტმა ქვეყანამ გვაღიარა ჩვენ და მათ შორის ათამდე ქვეყანამ სწორედ ამ ავბედით დღეებში. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ოფიციალურად დაგმო საქართველოში შეიარაღებული გადატრიალების მცდელობა და გამოხატა თავისი მხარდაჭერა საქართველოს მთავრობისადმი. კიდევ ერთხელ გამტყუნდა ფსევდოოპოზიციონერთა პროგნოზები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ საქართველოს არავინ ცნობს, რომ აქ დიქტატორული რეჟიმი იქმნება. მსოფლიოს პროგრესულმა ძალებმა სწორად შეაფასეს საქართველოს სახელმწიფო წყობილების არსი და სწორედ ჩვენს დემოკრატიას დაუჭირეს მხარი. ახლა უკვე მთელი მსოფლიოსთვის ცხადია ის სიცრუე და დეზინფორმაცია, რომელსაც ყოფილი საკავშირო საინფორმაციო საშუალებები თესავდნენ ჩვენ გარშემო. მთელმა მსოფლიომ დაინახა ჩვენი სიმართლე და არჩეული გზის ჭეშმარიტება. მრავალი იმპერია ცდილობდა საქართველოს დამონებას, ქართველი ხალხის მოსპობას, მრავალ გარეშე თუ შინაურ მტერს, თუ მოღალატეს სურდა საქართველოს უბედურებით პირადი ამბიციების დაკმაყოფილება, მაგრამ საქართველომ გაუძლო ყოველივეს და ძლევამოსილად იარა ისტორიის ეკლიან გზაზე და მომავალშიც ივლის ძლევამოსილად. ქართველებო, ჩვენ გვსურს ვაშენოთ სამართლიანობის, თავისუფლების და დემოკრატიის პრინციპებზე დაფუძნებული ქვეყანა. ჩვენს ერთობას და ურთიერთმხარდაჭერას ვერ შეარყევს ვერანაირი შავი ძალა. იქნება ეს მოღალატეთა შეიარაღებული პუტჩი თუ მაღალი პოლიტიკის ინტრიგები. მთელი პროგრესული კაცობრიობა ჩვენთან არის. გაუმარჯოს თავისუფალ ქართველ ერს, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს, ღმერთი არს ჩვენთან.

28 დეკემბერი 91 წელი.

*გაგრძელება იქნება*

---

**მედიცინა**

## მკურნალობა ხალხური რეცეპტებით – უძილობა



– უძილობა გაზაფხულზე იჩენს თავს. მისი დამარცხება რთულია, მაგრამ არა შეუძლებელი. თქვენ თვითონ დაინიშნეთ უმი ბოსტნეულის და ხილის დიეტა. აუცილებლად ძილის წინ ჭამეთ ხახვი. თუ არ შეგიძლიათ, შესვით ჭიქა რძე ან ჩაი. თავის ტკივილით გამოწვეული უძილობა შეიძლება მოვირჩინოთ პრინციპით, ერთ ტკივილს მეორეთი ამოაგდებენ. დაიდეთ ნაკუთალზე მდოგვის ან გახეხილი პირშუშხას საფენები. გეწვით? ითმინეთ. სამაგიეროდ, გაქრება თავის ტკივილი და მშვიდად დაიძინებთ. ხშირად თავის ტკივილი ჩნდება იმის გამო, რომ დანაგვიანებული გაქვთ კუჭი. ასეთ შემთხვევაში საჭიროა გაიწმინდოთ იგი, რამდენიმე ხნით დაიცავით დიეტა. შედეგს მაშინვე იგრძნობთ.

❖ ❖ ❖

– უძილობის მკურნალობის ეს მეთოდი კარგადაა ცნობილი, მაგრამ ტიბეტელები ამ მეთოდს სხვა საშუალებებთან ერთად იყენებენ და მიიჩნევენ, რომ ეფექტი, ამ შემთხვევაში, გაცილებით უკეთესია. უპირველეს ყოვლისა, უნდა დამზადდეს სვიის ბალიში, რომელზედაც ავადმყოფს უნდა ეძინოს. გარდა ამისა, მან დღეში 2-ჯერ ნახევარ-ნახევარი ჭიქა პიტნის ფოთლების ნაყენი უნდა მიიღოს. ასეთი მკურნალობით იოლად შეიძლება უძილობის დამარცხება და თავის ტკივილებისგან გათავისუფლებაც.

❖ ❖ ❖

– წვრილად დაჭრილი 100 გრამი კუნელის ნაყოფები დააყენეთ 70 პროცენტიან 1 ლიტრ სპირტზე.

ხმარობენ 50-50 წვეთს სამჯერ დღეში ჭამამდე.

❖ ❖ ❖

– 20 გრამი სვიის ნაყოფი დააყენეთ 1 ლიტრ მდუღარე წყალზე, მიიღეთ ჩაის კოვზით დღეში 3-ჯერ.

❖ ❖ ❖

– ნერვიულობის გამო უძილობადაჩემებულ, აგრეთვე სხვა დაავადებებით გამოწვეული უძილობის დროს დღეში ორჯერ, სადილობისა და ძილის წინ, იღებენ ერთ ნატეხ შაქარზე ან 1 ჩაის კოვზ წყალზე განზავებულ 5-7 წვეთ სვიის გირჩების ნაყენს.

ნაყენი შემდეგნაირად მზადდება: სვიის ნაყოფების ერთ წონით ნაწილზე იღებენ ოთხ წონით ნაწილ სპირტს.

❖ ❖ ❖

– თითქმის ყველა ძველ სახელმძღვანელოში მსუბუქ საძილე საშუალებად რეკომენდებულია ღვინო, მისი ძლიერ მცირე დოზა – 30-50 გრამი (არავითარ შემთხვევაში არაყი) აჩქარებს ჩაძინების ფაზას.

ზოგიერთი გვირჩევს, ძილის წინ დავლიოთ ერთი ჭიქა თბილი რძე, რომელსაც შეიძლება დავუმატოთ ერთი ჩაის კოვზი თაფლი.

❖ ❖ ❖

– ჩაძინებაში დაგვეხმარება ძილის წინ მიღებული თბილი აბაზანა, რომელშიც შეიძლება ჩავუმატოთ ცოტა კატაბალახას ნაყენი. აბაზანა უნდა იყოს სასიამოვნოდ თბილი (არა ცხელი) და ხანმოკლე – არა უმეტეს 10-12 წუთისა. აბაზანაში ხანგრძლივმა ყოფნამ შეიძლება ძილი გაგიკრთოთ.

❖ ❖ ❖

– ხანდახან საკმარისია ფეხის აბაზანის რამდენჯერმე მიღება ბერულათი ან კალენდულას ყვავილებით, ასევე ცაცხვის ან ორკბილას ყვავილით და ძილი მოწესრიგდება. კარგადაა ცნობილი წიწვოვანი აბაზანების სამკურნალო ძალაც.

ცაცხვის აბაზანის მოსამზადებლად ყვავილები (100 გრამი) ჩაყარეთ დოლბანდის ტომსიკაში და მოათავსეთ ოდნავ თბილი წყლით (34-35 გრადუსი) სავსე აბაზანაში. მიიღეთ აბაზანა 10 წუთით ძილის წინ კვირაში სამჯერ. სულ მიიღეთ 5-7 პროცედურა.

**მალამო მენტორი პირველი**

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.
**მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ:** რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებზე დღეში ორჯერ.

**მალამო მენტორი ხუთი**

**საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, საოჯახო გამოცდილების, ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისაგან დამზადებული მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ:** ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების სამკურნალოდ, მკურნალობისას ამცირებს სისხლის კოაგულაციას, ამაგრებს კაპილარებს და ვენების კედლებს, თავიდან აცილებს სისხლძარღვებში თრომბის წარმოქმნას და ხელს უწყობს წარმოქმნილი თრომბების შეწოვას. მკურნალობისას ავადმყოფს უმცირდება შეშუპება, ტკივილი, თანდათან ქრება თრომბები. მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში.

**სპრეი მენტორი 7**

გრიპის, გაცივების სამკურნალო საშუალება ცხვირის არხებში შესასხურებელი წამალი სპრეი მენტორი შვიდი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო, ეფექტური, სამკურნალო საშუალებაა. სამკურნალო წამალი გამოიყენება სასუნთქი გზების დაავადებების ლარინგიტის, ტრაქეიტის, კატარალური და ჩირქოვანი ბრონქიტის აბცესისა და ფილტვის განგრენის დროს, აგრეთვე ჭრილობების, კანზე გამონაყარის და წყლულების მოსაბანად, კუჭნაწლავის მწვავე დაავადებების დროს, სისხლძარღვებში შემავიწროებელი ანთების საწინააღმდეგოდ. კარგად უნდა გავათავისუფლოთ ცხვირის არხები გამონადენისგან, სპრეი შევისხუროთ ცხვირის არხებსა და ყელში. მკურნალობისას ნახველი თხელდება და ამოდის ბრონქებიდან, უმჯობესდება სუნთქვა.

**ტელ: 599-73-48-21; 598-73-48-21.**

## ოჯახმა საკუთარი სახლის კედელში პომპეიდან მოპარული არტეფაქტი აღმოაჩინა

ბელგიაში სახლის სარდაფის კედელში იპოვეს 1970-იან წლებში პომპეიდან მოპარული უძველესი არტეფაქტი.

1970-იან წლებში დეტემერმანების ოჯახი შვებულებით იტალიაში იმყოფებოდა. ძველი ქალაქის პომპეის გათხრების მონახულების შემდეგ, ოჯახის უფროსთან უცნობი პირი მივიდა და მისგან სუვენირის ბარელიფიანი მარმარილოს ნაჭრის ყიდვა შესთავაზა. ვინაიდან მასში მოთხოვნილი თანხა უმნიშვნელო იყო, დეტემერმანმა უცნობის შეთავაზება მიიღო და მარმარილოს ნაჭერი ბელგიაში წაიღო, იმაში დარწმუნებულმა, რომ უბრალოდ ასლი შეიძინა. შემდეგ მან გადაწყვიტა შეძენილი მარმარილოს ნაჭერი სახლის ნაწილად ექცია და ის სარდაფის აგურის კედელში ჩასვა. სწორედ იქ ინახებოდა არტეფაქტი ბოლო 50 წლის განმავლობაში.

ახლახანს კი 85 წლის დეტემერმანმა სახლის გაყიდვა გადაწყვიტა და მისმა შვილმა გერტმა გადაწყვიტა, ყოველი შემთხვევისთვის შეემოწმებინა, წარმოადგენდა თუ არა რაიმე ღირებულებას მარმარილოს ნაჭერი. ის ტონგერენეს რომაულ მუზეუმს დაუკავშირდა და როდესაც ექსპერტები ადგილზე მივიდნენ, მათ საკუთარ თვალებს არ დაუჯერეს. აღმოჩნდა, რომ დეტემერმანმა იტალიიდან წამოიღო მნიშვნელოვანი თითქმის 2000 წლის არტეფაქტი. უფრო მეტიც, ის უკვე 50 წელი დაკარგულად ითვლებოდა და სპეციალისტები მას უშედეგოდ ეძებდნენ.

მარმარილოს ნაჭერზე გამოსახულია ჩვენი წელთაღრიცხვით 62 წელს მომხდარი პომპეის მიწისძვრის სცენა. ის სრულიად ემთხვევა პომპეიში გამოფენილი მარმარილოს მეორე ნაწილს,



რომელზეც ასევე გამოსახულია შენობა, რომელიც მიწისძვრის დროს ჩამოინგრა. თავდაპირველად მარმარილოს ნაჭრები პომპეის ცენტრში მდებარე მდიდარი რომაელი ბანკირის სასახლეში იქნა ნაპოვნი.

ექსპერტებმა სახლის კედელში ჩაშენებული მარმარილოს წარმომავლობა დაადასტურეს, რის შემდეგაც დეტემერმენების სახლში მივიდა სასამართლო პოლიცია იმის გამოსარკვევად, თუ როგორ აღმოჩნდა უძველესი არტეფაქტი ოჯახის ხელში. ჯერჯერობით, სამართალდამცავებს ოჯახის ვერსია სამართლიანად მიაჩნიათ. თუ საქმის შემდგომი განხილვა აუცილებელი არ გახდება, ოჯახს შეეძლება, კომპენსაციაც კი მიიღოს იმისთვის, რომ 50 წლის შემდეგ ხელისუფლებას მნიშვნელოვანი ისტორიული არტეფაქტი დაუბრუნა.

სავარაუდოდ, მარმარილოს ნაჭერს პომპეიში დააბრუნებენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

2023, 20 დეკემბერი, №250

# გენერალი ოსტინი ისრაელში ჩავიდა




აშშ-ის თავდაცვის მინისტრი, გენერალი ოსტინი ისრაელში ჩავიდა. ის ისრაელის თავდაცვის მინისტრს შეხვდება. დღის წესრიგშია ჰამასთან ომის უკანასკნელი, დამამამთავრებელი ეტაპის შეთანხმება.

ჟურნალისტებთან საუბარში ოსტინმა განაცხადა, რომ ღაზას ბომბარდირებამ მშვიდობიანი მოსახლეობა დააზარალა და ამიტომ აუცილებელია, ომის რაც შეიძლება სწრაფად დამთავრება.

# ჰესბოლამ ისრაელს დაარტყა

ტერორისტულმა ორგანიზაცია ჰეისბოლამ ისრაელის არმიის ყაზარმებს დაარტყა. ამის შესახებ იუწყება „დოიჩე ველე".

ისრაელის არმიის ხელმძღვანელობამ ხსენებული ინფორმაცია დაადასტურა. საპასუხო განცხადებაში ნათქვამია, რომ ისრაელმა დაადგინა, კონკეტულად თუ საიდან განხორციელდა დარტყმა და ტერორისტებს კუთვნილს მიაგებს.



# ზალუჟნი მიყურადების სისტემის აღმოჩენის შესახებ

უკრაინული არმიის სარდალი, გენერალი ზალუჟნი ჟურნალისტებს შეხვდა. საუბრის მთავარი თემა გენერლის კაბინეტში აღმოჩენილი მოსასმენი მოწყობილობა იყო. ზალუჟნიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მოსასმენი აპარატურა არა მის კაბინეტში, არამედ იმ ოთახში აღმოაჩინეს, რომელიც მას იმ დღეს უნდა გამოეყენებინა სამუშაოდ.

გენერალმა გამოთქვა რწმენა, რომ უკრაინის უშიშროების სამსახური მიაგნებს მათ, ვინც მის სამუშაო ოთახში მიყურადების სიტემა დააყენა.

# დანაკარგები რუსი ოკუპანტების რიგებში

ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 5.798; ბრონირებული საბრძოლი მანქანები – 10.771; არტილერია – 8.190; ჰაერსაწინაალმდეგო თავდაცვის საშუალებები – 611; თვითმფრინავები – 324. განადგურებულია 348.300 ოკუპანტი.

# გენერალი კრივონოსი უკრაინის პრეზიდენტს მიმართავს



გადამდგარმა ურაინელმა გენერალმა კრივონოსმა განაცხადა, რომ პუტინმა უკრაინაში საოკუპაციო კონტინგენტი გაზარდა. რუსი ჯარისკაცების რაოდენობა უკვე 600.000-ს აღემატება. ახლო მომავალში მოსალოდნელია კონტინგენტის გაორმაგება.

გენერალმა პრეზიდენტ ზელენსკის მიმართა და მოუწოდა, რომ რუსების შეტევას მომზადებული შეხვდეს. კერძოდ, აუცილებელია საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადება და ხარკოვის, ოდესის, ნიკოლაევის, ხერსონის, დნეპრის მოსახლეობის მომზადება ოკუპანტების მოსაგერიებლად.

გენერლის აზრით, შეტევის მოსაგერიებლად გასატარებელი ღონისძიებების მომზადება უკვე დღეს უნდა დაიწყოს.



# ჩეხეთის პრეზიდენტის ავბედითი პროგნოზი

ჩეხეთის პრეზიდენტის პეტერ პაველის აზრით, ცვლილებები რუსეთ-უკრაინის ფრონტზე დიდად იქნება დამოკიდებული ორ ფაქტორზე: 1) არჩევნები აშშ-ში; 2) არჩევნები რუსეთში. აშშ-ში გაუგებარია, თუ ვინ გახდება პრეზიდენტი, ხოლო რუსეთში სიტუაცია ცხადია – ვლადიმერ პუტინი ძალაუფლებას შეინარჩუნებს.

ჩეხეთის პრეზიდენტმა პეტერ პაველმა განაცხადა, რომ მომავალ 2024 წელს რუსეთ-უკრაინის ფრონტზე ცვლილები გარდუვალია, მაგრამ შეიძლება ეს ცვლილებები სულაც არ იყოს სასარგებლო დემოკრატიული ძალებისათვის.

უკრაინელი ექსპერტის ვიტალი პორტნიკოვის აზრით, შეთანხმება აშშ-რუსეთს შორის, ტრამპის არჩევის შემთხვევაში ,მართლაც რეალურია, მაგრამ ის, როგორც უკრაინის, ისე ევროპის გვერდის ავლით დაიდება. ეს არ მოიტანს მშვიდობას. დაძაბულობა რუსეთ-უკრაინას, რუსეთ-ევროპასა და რუსეთ-აშშ-ს შორს გაძლიერდება. შედეგად, ამას შესაძლოა, მართლაც მესამე მსოფლიო ომი მოჰყვეს.

# რუსეთში მწერალ ბორის აკუნინზე სისხლის სამართლის საქმე აღძრეს



რუსეთში ცნობილ მწერალ ბორის აკუნინზე სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. ამის შესახებ იუწყება რადიო „თავისუფლება".

აკუნინის ნამდვილი გვარია ჩხარტიშვილი. ის წარმოშობით ქართველია. დაიბადა ზესტაფონში 1956 წელს. შემდეგ დედასთან ერთად მოსკოვში გადასახლდა. აკუნინმა დეტექტიური რომანებით გაითქვა სახელი. ამათგან გამოირჩევა: „აზაზელი," „სამოქალაქო მრჩეველი" და ა.შ. უმრავლესობა მათგანი ეკრანიზებულია.

აკუნინი მკაცრად აკრიტიკებდა პუტინის რეჟიმს. თავის ერთ-ერთ ინტერვიუში მან განაცხადა:

– პუტინი მაგონებს რომის იმპერატორ კალიგულას. მას ურჩევნია, რომ მისი ეშინდეთ, ვიდრე უყვარდეთ!

აკუნინი სასტიკი მოწინაალმდეგე იყო რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის. კინორეჟისორი ნიკიტა მიხალკოვი ამის გამო აცხადებდა:

– აკუნინი, თავისი ქართული წარმოშობის გამო, პუტინზე დაბოღმილია! მას უბრალოდ არ ესმის, რომ ვლადიმერ ვლადიმეროვიჩი იბრძვის დიდი რუსეთის აღორძინებისათვის!

თავად აკუნინი 2014 წლიდან ლონდონში ცხოვრობს. მიუხედავად ამისა, რუსეთის საგამომძიებლო კომიტეტი აპირებს მასზე ძებნის გამოცხადებას.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციების გან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

## კალეიდოსკოპი

# მსხვილი ნარკომოვაჭრე პრეზიდენტის მრჩევლის მეუღლესთან ერთად დააკავეს



ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ძებნაში მყოფი ევროპის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დამნაშავე, ბოსნიელი მსხვილი ნარკომოვაჭრე, მლადენ სამარძია დააპატიმრეს.

ვილაში, სადაც განხორციელდა სამარძიას დაპატიმრება, ჩხრეკის შედეგად ნაპოვნი იქნა ოთხი პისტოლეტი, 150 ათასზე მეტი ნაღდი ფულით ევრო, ერთი კილოგრამი კოკაინი და იქვე იმყოფებოდა ბოსნიის რეგიონის რესპუბლიკა სერბსკას პრეზიდენტის მრჩევლის მეუღლე ტიანა ტეგელტი.

– ეს სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა, – განაცხადა ბოსნიის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელმა, განხორციელებული დაპატიმრების კომენტირებისას.

ტიანა ტეგელტის მეუღლეა ბოსნიის და ჰერცეგოვინასა და რესპუბლიკა სერბსკას პრეზიდენტის მილორად დოდიკის მრჩეველი სასამართლოსა და პროკურატურის საკითხებში. ისინი განქორწინებას აპირებდნენ და ამიტომ ცალ-ცალკე ცხოვრობენ, თუმცა, ამავე დროს უცნობია, ამ დროისთვის განქორწინება ოფიციალურად არის თუ არა გაფორმებული.00

სამარძია კი მონტენეგროს ნარკოკარტელის „შკალიარის" ლიდერის იოვან ვუკოტიჩის მარჯვენა ხელად ითვლება, რომელიც სტამბოლში ერთი წლის წინ მოკლეს. ის ევროპაში კოკაინისა და ჰეროინის გამავრცელებელი არხების ორგანიზატორად ითვლება.

# სასიძომ ქორწილისთვის საიუველირო მაღაზია გაძარცვა



ტაილანდის მკვიდრმა, რომელმაც მთელი თავისი ფული წააგო, ქორწილისთვის საიუველირო მაღაზიიდან ოქროს სამკაულები მოიპარა და პოლიციელთა ხელში ამოჰყო თავი.

31 წლის მამაკაცმა, სახელად ვორაჩონმა საიუველირო მაღაზია 13 დეკემბერს პატხუმტხანის პროვინციაში გაძარცვა. ის შენობაში შევიდა და გამყიდველს მისთვის 160-გრამიანი ოქროს ყელსაბამის ჩვენება სთხოვა. გამყიდველმა მამაკაცისთვის სასურველი სამკაული ვერ ნახა და სხვა ვარიანტი შესთავაზა. მან ვორაჩონს ორი, თითოეული 80-გრამიანი ოქროს ყელსაბამი უჩვენა, რომელთა საერთო ღირებულება 340 ათას ბატს შეადგენდა. მამაკაცმა სამკაულის თვალიერება დაიწყო და გამყიდველს სხვადასხვა შეკითხვებს უსვამდა, რა დროსაც სამკაულებს ხელი დასტაცა და გაიქცა.

ქუჩაში გამოსული ვორაჩონი ყველგანმავალში ჩაჯდა და მიიმალა. თუმცა, დაუსჯელი არ დარჩენილა. პოლიციამ მისი ვინაობა სწრაფად დაადგინა და ძარცვის მეორე დღეს დააპატიმრა. მისი ავტომობილის სალონში სამართალდამცავებმა გატაცებული ოქროს სამკაულები იპოვეს.

მოგვიანებით მამაკაცმა აღიარა, რომ დანაშაული იმისთვის ჩაიდინა, რომ საცოლისთვის სამკაულები სჭირდებოდა. მისი თქმით, ის აზარტულ თამაშებზეა დამოკიდებული და მთელი თავისი თანხა, რომელიც სწორედ ძვირფასი სამკაულების შესაძენად ჰქონდა გადანახული, აზარტულ თამაშებში გაფლანგა. იმისათვის კი, ქორწილი რომ არ ჩაშლილიყო, სამკაულების გატაცება, შემდეგ კი მათი გაყიდვა გადაწყვიტა.

# ეშმაკის გამოსაძახებელი შელოცვა იპოვეს



გერმანიაში იპოვეს ტყვიის ფურცელი, რომელზეც შუა საუკუნეების ეშმაკის გამოსაძახებელი შელოცვაა ამოტვიფრული.

აღნიშნული ნივთი ქალაქ როსტოკში მიმდინარე მშენებლობის დროს იქნა ნაპოვნი. ის დახვეული იყო და ორმოში ეგდო. როდესაც გაშალეს, აღმოჩნდა, რომ ტყვია წვრილი გოთიკური ნაწერებით იყო დაფარული.

არქეოლოგები, რომლებმაც ნაწერი გაშიფრეს, თვლიან, რომ აღნიშნული ფურცელი ე.წ. წყევლის დაფას წარმოადგენს. მისი შემქმნელი ან შემქმნელები წყევლიდნენ ვინმე ქალს, სახელად ტალეკს და მამაკაცს, სახელად ჰინრიკს და უხმობდნენ დემონებს – ბელზებელსა და ვერიფს.

ასეთი წყავლის შემცველი ფურცლები ძველად ცნობილი იყო და ხშირად გვხვდებოდნენ საბერძნეთსა და რომში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 800 წლიდან ჩვენი წელთაღრიცხვის 600 წლამდე.

– აღნიშნული ფურცელი კი შეგვიძლია მე-15 ასწლეულით დავათარიღოთ, – აცხადებს არქეოლოგი იორგ ანზორგე, – ეს მართლაც განსაკუთრებული აღმოჩენაა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სპორტი

18 დეკემბერი

ფეხბურთი

### მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატი

ფლუმინენსე-ალ აჰლი ........................ 2:0

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბირმინგემი-ლესტერი ........................ 2:3

### ესპანეთი. პრიმეიჩა დივიზიონი

ხირონა-ალავესი ........................ 3:0

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ხირონა | 17 | 14 | 2 | 1 | 41-20 | 44 |
| 2.რეალი | 17 | 13 | 3 | 1 | 38-11 | 42 |
| 3.ბარსელონა | 17 | 10 | 5 | 2 | 31-19 | 35 |
| 4.ატლეტიკო | 16 | 11 | 1 | 4 | 32-16 | 34 |
| 5.ბილბაო | 17 | 9 | 5 | 3 | 33-19 | 32 |
| 6.სოსიედადი | 17 | 8 | 6 | 3 | 29-18 | 30 |
| 7.ბეტისი | 17 | 6 | 9 | 2 | 19-17 | 27 |
| 8.ხეტაფე | 17 | 6 | 7 | 4 | 21-20 | 25 |
| 9.ლას პალმასი | 17 | 7 | 4 | 6 | 15-14 | 25 |
| 10.ვალენსია | 17 | 5 | 5 | 7 | 18-22 | 20 |
| 11.რაიო | 17 | 4 | 8 | 5 | 16-23 | 20 |
| 12.ოსასუნა | 17 | 5 | 4 | 8 | 19-26 | 19 |
| 13.ალავესი | 17 | 4 | 4 | 9 | 14-23 | 16 |
| 14.ვილიარეალი | 17 | 4 | 4 | 9 | 23-33 | 16 |
| 15.მალიორკა | 17 | 2 | 9 | 6 | 14-20 | 15 |
| 16.კადისი | 17 | 2 | 8 | 7 | 14-24 | 14 |
| 17.სევილია | 16 | 2 | 7 | 7 | 20-24 | 13 |
| 18.სელტა | 17 | 2 | 7 | 8 | 16-25 | 13 |
| 19.გრანადა | 17 | 1 | 5 | 11 | 20-37 | 8 |
| 20.ალმერია | 17 | 0 | 5 | 12 | 17-39 | 5 |

## შედეგები

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ვილიარეალი ბ-ვალიადოლიდი ............ 1:0

### იტალია. სერია ა

ატალანტა-სალერნიტანა .................... 4:1

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 16 | 13 | 2 | 1 | 39-7 | 41 |
| 2.იუვენტუსი | 16 | 11 | 4 | 1 | 24-10 | 37 |
| 3.მილანი | 16 | 10 | 2 | 4 | 29-18 | 32 |
| 4.ბოლონია | 16 | 7 | 7 | 2 | 20-12 | 28 |
| 5.ნაპოლი | 16 | 8 | 3 | 5 | 28-19 | 27 |
| 6.ფიორენტინა | 16 | 8 | 3 | 5 | 25-18 | 27 |
| 7.ატალანტა | 16 | 8 | 2 | 6 | 28-19 | 26 |
| 8.რომა | 16 | 7 | 4 | 5 | 28-19 | 25 |
| 9.ტორინო | 16 | 6 | 5 | 5 | 14-16 | 23 |
| 10.მონცა | 16 | 5 | 6 | 5 | 16-17 | 21 |
| 11.ლაციო | 16 | 6 | 3 | 7 | 16-18 | 21 |
| 12.ლეჩე | 16 | 4 | 8 | 4 | 19-21 | 20 |
| 13.ფროზინონე | 16 | 5 | 4 | 7 | 21-26 | 19 |
| 14.ჯენოა | 16 | 4 | 4 | 8 | 16-21 | 16 |
| 15.სასუოლო | 16 | 4 | 4 | 8 | 24-30 | 16 |
| 16.კალიარი | 16 | 3 | 4 | 9 | 16-29 | 13 |
| 17.უდინეზე | 16 | 1 | 10 | 5 | 14-27 | 13 |
| 18.ემპოლი | 16 | 3 | 3 | 10 | 10-28 | 12 |
| 19.ვერონა | 16 | 2 | 5 | 9 | 13-23 | 11 |
| 20.სალერნიტანა | 16 | 1 | 5 | 10 | 12-34 | 8 |

### პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

სპორტინგი-პორტუ ........................ 2:0

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ომარ თეთრაძე: საქართველოში საფეხბურთო ინფრასტრუქტურა თითქმის არ არსებობს

საბურთალოს ყოფილი მწვრთნელი ომარ თეთრაძე რუსეთშია და კარიერის გაგრძელებას იქ ცდილობს. იქაურ მედიასთან საუბარში აღნიშნა, რომ საქართველოში მუშაობა იმიტომ არ ისურვა, რომ ჩვენთან ნორმალური ინფრასტრუქტურა და პირობები არ არის.



**ომარ თეთრაძე:**

– საბურთალოში წელიწადზე ცოტა ნაკლები ვიმუშავე და სექტემბერში წამოსვლის გადაწყვეტილება მივიღე. ახლა, ასე ვთქვათ, თავისუფალი აგენტი ვარ. ბევრმა ქართულმა კლუბმა მიმიწვია, მაგრამ ფსიქოლოგიურად მზად არ ვიყავი იქ სამუშაოდ.

რუსეთში იმიტომ ჩამოვედი, რომ მწვრთნელის კარიერა გავაგრძელო, ჩემი ოჯახი კი საქართველოშია. საბურთალომდე 5 წელი უმუშევარი ვიყავი, მაგრამ ფეხბურთის გარეშე ვერ ვძლებდი და სხვადასხვა მატჩებზე დავდიოდი – მეორე ლიგის მატჩებზეც კი. საბურთალოში 2019 წელსაც დამიძახეს, მაგრამ მაშინ უარი ვუთხარი, რადგან რუსეთიდან სერიოზულ შემოთავაზებებს ველოდი.

საბურთალოს მფლობელი, საქართველოს სპორტის ყოფილი მინისტრი, ტარიელ ხეჩიკაშვილი ჩემი ბავშვობის მეგობარია. გასულ წელს საახალწლოდ საქართველოში ჩავედი, ტარიელი ვინახულე და დამიყოლია... სურდა ისეთი გუნდის გაკეთება, რომ თბილისისა და ბათუმის დინამოებისთვის კონკურენცია გაეწია.

სეზონი კარგად დავიწყეთ. ახალგაზრდა ფეხბურთელები მოტივირებულნი იყვნენ, რადგან წინ ევროპის ჩემპიონატი ელოდათ. ბევრს მუშაობდნენ, ეგონათ, ევროპირველობაზე უცხოური კლუბები შეამჩნევდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა და მოტივაცია დაკარგეს. ერთი უნდა იცოდნენ – თუ უცხოეთში თამაში სურთ, თავი ჯერ სამშობლოში უნდა გამოიჩინონ...

ერთია, საქართველოში პირობები მხოლოდ 5 გუნდს აქვს – ორივე დინამოს, ქუთაისის ტორპედოს, წყალტუბოს სამგურალსა და გორის დილას. სხვა გუნდები სათამაშო და სავარჯიშო მოედანს ქირაობენ. წარმოიდგინეთ, მატჩის მოახლოებამდე გუნდები თამაშამდე ვარჯიშებს მეტოქესთან ერთად, გვერდით მოედანზე ატარებენ. საბურთალოში მუშაობისას დღეში ორ ვარჯიშს ვერ ვატარებდი. ბაზის არქონის გამო, პირველი ვარჯიშის შემდეგ ფეხბურთელებს სახლში წასვლა უხდებოდათ, მაგრამ სანამ მივიდოდნენ, მეორე ვარჯიშის დრო მოდიოდა. ეს არარეალურია...

ხვიჩა კვარაცხელიამ საკუთარი თავი თავად შექმნა. მართალია, საწყისი ბაზა საქართველოში მიიღო, მაგრამ მასთან უკეთესად რომ ემუშავათ, ახლა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო იქნებოდა. რაზე უნდა ვილაპარაკოთ, როდესაც თბილისის დინამოდან გააგდეს. რუსთავში კი, ერთი სეზონი გაატარა და ერთი გოლი შეაგდო. კარგია, რომ რუსეთში დროულად გამოასწრო, სადაც ევროპული ფეხბურთისთვის მოამზადეს.

მეორე სეზონში ნაპოლიში მისგან მეტს ელოდნენ. ეს თამასა თავად ასწია და, ჯერჯერობით, იქამდე ვერ მივიდა. ყველა ფეხბურთელს აქვს აღზევება და დაცემა – ეს ნორმალურია. ხვიჩა ახლა ამ სიტუაციიდან უნდა გამოძვრეს – ამით განსხვავდებიან დიდი ფეხბურთელები ჩვეულებრივებისგან. თუმცა, უდავოდ ძლიერი ფეხბურთელია. რუსეთში ასეთი არშავინი იყო. ისეთი ფეხბურთელები, როგორიც ეს ორია, ძალიან ცოტაა. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში კი, მსგავსი ფიგურები თითქმის ყველა გუნდში იყო. ახლა კი... ფეხბურთელი ეზოში უნდა გაიზარდოს, მათი დიდი ნაწილი კი კომპიუტერებსა და ტელეფონებშია ჩარგული...

# ქართველები ძიუდოს ორ წონას ლიდერობენ



ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ (იჯფ) 2023 წლის მორიგი რეიტინგი გამოაქვეყნა. წელს ეს მაჩვენებლები აღარ შეიცვლება, რადგანაც მეტი ტურნირი აღარ არის.

სადღეისოდ, რეიტინგის ლიდერთა შორის მხოლოდ ორი ქართველი ძიუდოისტი იმყოფება.

**60 კგ:** გიორგი სარდალაშვილი (4.248 ქულა) მე-6 ადგილზე იმყოფება, ლუხუმ ჩხვიმიანი (2.336) 22-ეა, თემურ ნოზაძე (1.663) 31-ე, ხოლო ჯაბა პაპინაშვილი (433) – 89-ე.

ამ წონის ლიდერი იაპონელი რიუჯუ ნაგაიამაა (5.780);

**66 კგ:** ვაჟა მარგველაშვილი (4.610) მესამე ადგილზეა. ქართველ ძიუდოისტს მოლდოველი დენის ვიერუ (6.580) და მონღოლი ბასხუუ იონდონპერენლეი (5.814) უსწრებენ.

ქართველთაგან ამ წონაში ლაშა ნადირაძე (825) 58-ე ადგილზეა, ხოლო გიორგი თუთაშვილი (814) 61-ეა;

**73 კგ:** ლაშა შავდათუაშვილი (4.892) მე-4 პოზიციაზეა. ამავე წონაში მე-17 ადგილზე იმყოფება გიორგი ტერაშვილი (3.007), კოტე კაპანაძე (866) კი 56-ეა.

ლიდერი კი, აზერბაიჯანელი ჰიდაიატ ჰეიდაროვია (6 638);

**81 კგ:** ამ წონის ლიდერი აღარ არის ტატო გრიგალაშვილი (7.515), რომელსაც ბელგიელმა მატიას კასემ (7.907) გადაასწრო. დიმიტრი გოჩილაიძე (1.245) 42-ეა, ხოლო ზაურ დვალაშვილი (1.022) – 53-ე;

**90 კგ:** ამ წონით კატეგორიაში ერთდროულად ორი ლიდერი გვყავს – ლუკა მაისურაძე (7.101) პირველია, ხოლო ლაშა ბექაური (5.200) მეორე ადგილზეა. ბექა ღვინიაშვილს (3.104) მე-14 პოზიცია უკავია, ხოლო გიორგი ჯაბნიაშვილი 500 ქულით 79-ე ადგილზეა.

**100 კგ:** ამ წონას კვლავაც ილია სულამანიძე (6.898 ) ლიდერობს, საქართველოს ნაკრების კაპიტანი ვარლამ ლიპარტელიანი (2.935) მე-17-ეა, ონისე სანებლიძე (1.535) 34-ე, ხოლო გიორგი ბერიაშვილი (1.045) – 45-ე;

**+100 კგ:** მძიმე წონაში გურამ თუშიშვილი (4.028) მერვეა, გელა ზაალიშვილს (3.566) მე-12 საფეხური უკავია, საბა ინანეიშვილი (1.810) 32-ეა, შალვა გურეშიძე (1.035) – 44-ე, ხოლო ლევან მატიაშვილი (976) – 46-ე.

წონის ლიდერი ტაჯიკი ტემურ რახიმოვია (6.260).

საქართველოს ქალთა ნაკრების წევრთაგან საუკეთესო შედეგი ეთერ ლიპარტელიანს (4.080) აქვს, რომელიც 57 კგ-მდე წონით კატეგორიაში მე-8 ადგილზე იმყოფება; ეთერ ასკილაშვილი (302) 92-ეა, მარიამ ჭანტურია (143) – 99-ე, ხოლო მძიმეწონოსანი სოფიო სომხიშვილი (2.363) მე-20-ე.

ქალთა შორის განსაკუთრებით გვჭირდება საუკეთესო 24 სპორტსმენში სამი სპორტსმენი გვყავდეს, რათა ოლიმპიადაზე გუნდურადაც ვიასპარეზოთ. ამ ეტაპზე ეს მოცემულობა არ გვაქვს, მაგრამ, შესაძლოა, ორი სპორტსმენიც გვეყოს, თუ გუნდური რეიტინგით მოვახერხებთ კვოტის შევსებას. ასე თუ მოხდა, მაშინ სომხიშვილმა აღარ უნდა მოუკლოს და ადგილი მინიმუმ შეინარჩუნოს.

# ილია თოფურია: ეჭვი არ მეპარება, რომ მსოფლიოს ჩემპიონი გავხდები

პოპულარული ესპანური სპორტული გამოცემის მარკას გარეკანზე, ხვიჩა კვარაცხელიას შემდეგ, კიდევ ერთი ქართველი სპორტსმენი გამოჩნდა – ილია თოფურია.



26 წლის ქართველი მებრძოლი წლებია ესპანეთში ცხოვრობს და მოქალაქეც არის და ეს გასაკვირი არ უნდა იყოს. მით უფრო, რომ ქართველი სპორტსმენის პოპულარობა იზრდება და მალე, 2024 წლის 17 თებერვალს უფც-ის ქვემსუბუქი წონის ქამრისთვის იჩხუბებს.

თოფურია წონის ქამრის მფლობელს, ავსტრალიელ ალექსანდრ ვოლკანოვსკის დაუპირისპირდება და წარმატების შემთხვევაში პირველი ქართველი (პირველი ესპანელიც) გახდება, ვინც ჩემპიონობას იზეიმებს.

ახლა კი, დავუბრუნდეთ მარკას და ინტერვიუს, რომელიც თოფურიამ გამოცემას მისცა.

**ილია თოფურია:**

– თავს მართლა საკმაოდ კარგად ვგრძნობ. მიხარია, რომ 17 თებერვალს ქამრისთვის ვიბრძოლებ. იმისთვის, რომ სატიტულო ბრძოლის შანსი მიმეღო, დიდი გზის გავლა მომიხდა. ეს ნამდვილი ოცნებაა და მთელი ცხოვრება გამყვება. მხოლოდ ბრძოლის შედეგზე არ ვსაუბრობ. ბედნიერი და მადლობელი ვარ იმ ყველაფრისთვის, რასაც ჩემს ოჯახთან და გუნდთან ერთად მივაღწიე. ამ მომენტისთვის მთელი ცხოვრება ვემზადებოდი, წლების განმავლობაში წარმოვიდგენდი ამ ბრძოლას და დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს, 17 თებერვალს ვინ იქნება მეტოქე. შედეგი იგივე იქნება. ეჭვი არ მეპარება, რომ მსოფლიოს ჩემპიონი გავხდები.

ვოლკანოვსკი დიდი მებრძოლია, ქვემსუბუქ წონაში მსოფლიოს ჩემპიონია, პლუს კარგი ბიჭი და კარგი სპორტსმენია. მეტიც, ის სუპერ სპორტსმენია. სიამაყის გრძნობა მეუფლება იმის გამო, რომ ისეთი ლეგენდის დამარცხებას ვაპირებ, როგორიც ვოლკანოვსკია. როგორც მებრძოლს, ბრწყინვალე უნარები აქვს, მაგრამ არ არის მზად იმისთვის, რაც ელოდება.

ჩემი ერთ-ერთი კარგი თვისება ის არის, რომ არასდროს მაღელვებს, რას ამბობენ ჩემზე სხვები, მით უმეტეს, ვოლკანოვსკი. ავსტრალიელი ამბობს, რომ ჩემთვის გაკვეთილის ჩატარებას აპირებს. მან უნდა იცოდეს, რომ სკოლა 15 წლის ასაკში დავამთავრე, მას შემდეგ კი არაერთი „მასწავლებელი" გავლახე. ვოლკანოვსკი მორიგი მათგანი იქნება.

საჭიროა გამარჯვებულის მენტალიტეტი, რასაც დიდი შრომა და მსხვერპლის გაღება სჭირდება. ჩემპიონის მენტალიტეტი შინ, დივანზე ჯდომით არ მოდის. თავდაჯერება გეუფლება, როდესაც ძალიან ცდილობ, ყველაფერს აკეთებ, არ ზარმაცობ. იმისთვის, რომ ჩემპიონი იყო, საყვარელი საქმისთვის თავი უნდა გადადო. ეს ეხება ნებისმიერ სფეროს. როდესაც რაღაც გიყვარს, სამუშაოს აღარ ჰგავს. მიდიხარ ოცნებისკენ და ამ ოცნებით ცხოვრობ. თუ რამეს სიყვარულით აკეთებ, წარმატება გარანტირებულია. გამარჯვებას ყოველდღე აღწევ, რადგან აკეთებ იმას, რაც გიყვარს და ეს უკვე წარმატებაა. ჩემპიონად ვერანაირი მედალი ვერ გაქცევს.

ჩვენი მხრივ გეტყვით, რომ თოფურია ქვემსუბუქი დივიზიონის რეიტინგში მეხუთე პოზიციას იკავებს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ნიონში ევროტურნირების წილისყრა შედგა

შვეიცარიის ქალაქ ნიონში მდებარე უეფას შტაბ-ბინაში ევროტურნირების ფლეი ოფის ეტაპის წილისყრა გაიმართა.

ჩემპიონთა ლიგაში ფლეი ოფში მონაწილე გუნდები გადანაწილებულნი იყვნენ: მერვედფინალურ ეტაპზე პირველ ადგილზე გასული გუნდები ერთმანეთს არ ხვდებიან; ასევე ერთმანეთში არ ითამაშებენ ერთი ქვეყნის წარმომადგენლები;

წილისყრის შედეგად ხვიჩა კვარაცხელიას ნაპოლის მეტოქედ ბარსელონა ერგო, ხოლო დავით ხოჭოლავას კოპენჰაგენს – მანჩესტერ სიტი.

**სხვა გუნდები ასე დაწყვილდნენ:**

ლაციო-ბაიერნი; ლაიფციგი-რეალი; ინტერი-ატლეტიკო; პორტუ-არსენალი; პსვ-დორტმუნდი; პსჟ-სოსიედადი.

ფლეი ოფის პირველი მატჩები 13-14 თებერვალსა და 20-21 თებერვალს გაიმართება, ხოლო საპასუხო 5-6 მარტსა და 12-13 მარტს.

წილისყრა შეაფასა ნეაპოლელთა მთავარმა მწვრთნელმა **ვალტერ მაცარიმ:**

– კალიარისთან მატჩის შემდეგ ვთქვი, რომ ყველა გუნდი, რომელიც მერვედფინალში გავიდა, ძლიერია. ამიტომ, ნებისმიერთან თამაში რთული იქნებოდა. ბარსელონას წინააღმდეგ კი, განსაკუთრებით რთული თამაში გველოდება, მაგრამ ნაპოლისთვის ეს მომხიბლავი გამოწვევაა.

წილისყრის შესახებ ბარსელონას სპორტულმა დირექტორმა, **დეკუმაც** ისაუბრა:

– იოლი ნამდვილად არ იქნება, ნაპოლი ხომ იტალიის ჩემპიონია. მიჭირს იმის თქმა, კარგი წილისყრა შეგვხვდა, თუ ცუდი. თუ კლუბი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ხვდება, შეუძლებელია, სუსტი იყოს. ლა ლიგის გასულ ტურში ვალენსიასთან ჩინებულად ვითამაშეთ, მაგრამ მოგება მაინც ვერ მოვახერხეთ. ნაპოლისთან მატჩებამდე კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ და მათთან თამაშებზე მაშინ ვიფიქრებთ, როდესაც ამის დრო მოვა. ცოტა ხნის წინ ესპანეთის ჩემპიონები გავხდით, ასე რომ, ვფიქრობ, ყველაფერი მოგვარებადია.

ნიონშივე ევროპალიგის მეთექვსმეტედფინალური ეტაპის წილისყრა გაიმართა.

16-დან რვა გუნდი ევროპალიგის ჯგუფური ეტაპის მეორეადგილოსანია, ხოლო კიდევ გუნდი ჩემპიონთა ლიგიდან შეუერთდა.

გიორგი გოჩოლეიშვილისა და ირაკლი აზაროვის შახტარი მარსელის ოლიმპიკს გაეჯიბრება, ხოლო ლუკა გუგეშაშვილის ყარაბაღს თამაში ბრაგასთან მოუწევს.

**წყვილების სრული სია კი, ასეთია:**

ფეიენოორდი-რომა; მილანი-რენი; ლანსი-ფრაიბურგი; იანგ ბოისი-სპორტინგი; ბენფიკა-ტულუზა; ბრაგა-ყარაბაღი; გალათასარაი-სპარტა; შახტარი-მარსელი.

პირველი მატჩები 15 თებერვალს, ხოლო საპასუხო შეხვედრები 22 თებერვალს გაიმართება.

ამ ეტაპზე არ ითამაშებენ და მოგებულებს პირდაპირ მერვედფინალში შეუერთდებიან ჯგუფური ეტაპის პირველადგილოსნები: ვესტ ჰემი, ბრაიტონი, რეინჯერსი, ატალანტა, ლივერპული, ვილიარეალი, სლავია, ლევერკუზენი.

კონფერენციის ლიგის ფლეი ოფის წილისყრაც გაიმართა და გაირკვა, რომ ერთმანეთს ქართველების გუნდები შეხვდებიან.

„ქართული დერბიში" ერთმანეთს ოთარ კიტეიშვილის შტურმი და გურამ კაშიასა და ჯაბა კანკავას სლოვანს ეთამაშება. საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი ფეხბურთელის, გიორგი მიქაუტაძის აიაქსის მეტოქე კი ბოდო გლიმტი იქნება.

სხვა გუნდები ასე დაწყვილდნენ: სერვეტი-ლუდოგორეცი; სენ ჟილუააინტრახტი; ბეტისი-დინამო (ზ); ოლიმპიაკოსი-ფერენცვაროში; მიოლდე-ლეგია; მაკაბი (ჰ)-გენტი.

მატჩები 15 და 22 თებერვალს გაიმართება.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. გულის ნაწილი; 2. სიყვარულის, სილამაზის, ბედნიერების, სიმდიდრის ღვთაება ინდურ მითოლოგიაში; 3. სასიგნალო მოწყობილობა რკინიგზაზე; 4. ტერიტორიული ერთეული თურქეთში; 7. მტკიცება, რომელიც აღიარებულია რომელიმე თეორიის ამოსავალ დებულებად დასაბუთების გარეშე; 8. ცნობილი ქართველი ექიმი-ჰომეოპათი; 12. ნანადირევისთვის განკუთვნილი სპეციალური ჩანთა; 14. საკანონმდებლო ორგანო აშშ-ში; 16. ალუმინის შემცველი მინერალი; 17. დარბაზის ფეხბურთი; 19. ყველაზე ღრმა ტბა საქართველოში; 20. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი.

**თარაზულად:** 5. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 6. ალპებში გავრცელებული თეთრი ყვავილი; 9. ქალაქი იტალიაში, სადაც ტარდება საოპერო მომღერლების საერთაშორისო ფესტივალი; 10. მეთევზეთა, მეზღვაურთა მფარველი ღვთაება ქართულ მითოლოგიაში; 11. საფრანგეთის ნაკრებისა და „ჩელსის" ფეხბურთელი; 13. კომპანია „ტესლას" მფლობელი; 15. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 18. ჰაერში ასაშვები მეტეოროლოგიური ბურთი; 21. გეოდეზიური ხელსაწყო; 22. პრინცესას ტიტული ესპანეთში; 23. ლუდის მწარმოებელი ქართული ფირმა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სუფიქსი; 2. ლელა; 3. დიჯეი; 4. ნეპალი; 6. ხეჭეჭური; 9. ტუნიკა; 13. დიუშენი; 14. რესურსი; 15. ურჯულო; 17. ჩელსი; 18. მტილი; 20. შოვი.

**თარაზულად:** 1. სულგუნი; 5. ზესხო; 7. პირინეი; 8. ფალცეტი; 10. ჯრუჭი; 11. ეთიკა; 12. ნუნისი; 16. ჩედერი; 17. ჩექმა; 19. უშბა; 21. ყულევი; 22. ასკილი; 23. ბოლიდი; 24. ჟიზელი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პროცესი; 2. თამადა; 3. ახტაჯანა; 4. მიცუბიში; 7. ფიროსმანი; 8. ჩხიკვაძე; 12. გიორგობა; 14. პარაგვაი; 16. ალგებრა; 17. იარლიყი; 19. ბაშო; 20. როტა.

**თარაზულად:** 5. ბრასკუბა; 6. ჩიხტიკოპი; 9. ბენეტი; 10. დურუჯი; 11. ფიჭვი; 13. გინზა; 15. ხარება; 18. ფლატე; 21. ხვანჭკარა; 22. ბეროუზი; 23. ბოლვერა.

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

20 დეკემბერი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.6822 | ევრო — 2.9338 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.4064 | 100 რუსული რუბლი — 2.9761 |

**ამინდის პროგნოზი 20 დეკემბრისათვის**




## ფრენკი დე იონგი: „ბარსელონამ გამარჯვებები უნდა დაიწყოს“

ბარსელონას ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა ფრენკი დე იონგმა თქვა, რომ მისმა გუნდმა უნდა დაიწყოს მოგებები და მათ ეს ჯერ ალმერიასთან უნდა გააკეთონ, რომელსაც ბარსელონა ოთხშაბათს დაუპირისპირდება:

– ალმერია დაცვით ფეხბურთს თამაშობს, ამიტომ მათთან მოგება იოლი არ იქნება, თუმცა, ჩვენ ბევრი ქულა დავკარგეთ, ამიტომ მხოლოდ გამარჯვებაზე უნდა ვიფიქროთ. შეცდომის დაშვების უფლება არ გვაქვს.



## გიორგი ჩაკვეტაძე, შესაძლოა, სლოვანში დაბრუნდეს

ინგლისური უოტფორდის ქართველი ლეგიონერი გიორგი ჩაკვეტაძე გუნდში სათამაშო დროით უკმაყოფილოა და შესაძლოა სლოვანში დაბრუნდეს.

შეგახსენებთ, რომ ჩაკვეტაძე უოტფორდში იჯარის წესით თამაშობს. ბოლო პერიოდში გიორგი იშვიათად ხვდება ინგლისური გუნდის ძირითად შემადგენლობაში და მას სურს, ერთა ლიგის მატჩებისთვის, რომლებიც მარტში გაიმართება, იდეალურ ფორმაში იყოს.

## ერიკ ტენ ჰაგის ბედი უახლოეს დღეებში გადაწყდება

მანჩესტერ იუნაიტედის მთავარი მწვრთნელის ერიკ ტენ ჰაგის ბედი უახლოეს დღეებში გადაწყდება, როდესაც მანჩესტერ იუნაიტედი რამდენიმე შეხვედრას ჩაატარებს და ცუდი შედეგის შემთხვევაში, ტენ ჰაგი, დიდი ალბათობით, თავის პოსტს დატოვებს.

ჰოლანდიელ სპეციალისტს მანჩესტერის ხელმძღვანელობა ბოლომდე აღარ ენდობა, რომ მას შეუძლია გუნდში მდგომარეობის გამოსწორება.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## ზაზა ხალვაშის ფილმს „ოქროს პრომეთე“ გადაეცა



კინორეჟისორ ზაზა ხალვაშის უკანასკნელ ფილმს „ლოტო“ „ოქროს პრომეთე“ გადაეცა. ჯილდო ფილმმა რეჟისორის გარდაცვალების შემდეგ თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე მიიღო.

## ცოტნე ზედგინიძემ და სანდრო გეგეჭკორმა ჰოლანდიაში ერთობლივი კონცერტი გამართეს

ახალგაზრდა ქართველმა პიანისტებმა ცოტნე ზედგინიძემ და სანდრო გეგეჭკორმა ჰოლანდიის ქალაქ ჰააგაში ერთობლივი კონცერტი გამართეს. საღამო ფესტივალის „ევროპალია-საქართველო“ ფარგლებში მოეწყო.



„ევროპალია-საქართველო“ 4 ოქტომბერს დაიწყო და მომავალი წლის თებერვალში დასრულდება. პროექტის ფარგლებში ბელგიასა და მის მოსაზღვრე ქვეყნებში 60-მდე მასშტაბური და მრავალფეროვანი ღონისძიება დაიგეგმა. ევროპის საზოგადოებას 4 თვის განმავლობაში შეუძლია ნახოს ეროვნული საგანძურის 2 მასშტაბური და ისტორიული მნიშვნელობის გამოფენა – „ავანგარდი საქართველოში 1900-1936“ ბრიუსელის ნატიფი ხელოვნების ცენტრში ბოზარი“ და „საქართველო – შეხვედრების ადგილი“ ბრიუსელის ისტორიისა და ხელოვნების ამეფო მუზეუმში.

## მაკა მახარაძის სტუდია რიგაში დააჯილდოეს

მაკა მახარაძის საბალეტო სტუდია „ვერის უბნის ტანცკლასი“ რიგაში პირველი ადგილის მ ლობელი გახდა.

ლატვიის დედაქალაქში საერთაშორისო ფესტივალი გაი ართა, სადაც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილ ობდნენ. მაკა მახარაძის საბალეტო სტუდიამ ყველაზე დიდი მ ნონება დაიმსახურა და საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ ა, სრულიად დამსახურებულად, დასახელდა.



## ლიზა ბათიაშვილის თბილისური კონცერტი გადაიდო



მსოფლიოში აღიარებული ქართველი მევიოლინეს ლიზა ბათიაშვილის თბილისში დაგეგმილი კონცერტი გადაიდო.

ინფორმაცია ეროვნული სიმფონიური ორკესტრის ხელმძღვანელმა **ნიკოლოზ რაჭველმა** გაავრცელა:

– 19 დეკემბერს თბილისის საკონცერტო დარბაზში ლიზა ბათიაშვილისა და ჩემი ერთობლივი პროექტით „სითი ლაითს“ უნდა გვემასპინძლა მსმენელებისთვის, მაგრამ სამწუხაროდ, კონცერტი, ჯერჯერობით, დაუდგენელი დროით გადაიდო. ლიზას გერმანიაში კორონავირუსი შეხვდა და ვერ შეძლო სარეპეტიციოდ თბილისში ჩამოსვლა, ახალ თარიღს კი დარბაზი ჯერჯერობით ვერ გვთავაზობს, რადგან შესაძლოა იქ გარკვეული სარემონტო სამუშაოები დაიწყოს და ჯერ ზუსტად არ არის ცნობილი, როდის დასრულდება.

შესაბამისად, მინდა ყველა, ვისაც შეძენილი აქვს ჩვენი კონცერტის ბილეთები, აღარ მობრძანდეს დარბაზში და დაელოდოს ინფორმაციას „ბილეთები.ჯის“ ადმინისტრაციისგან, თუ როგორ მოხდება ბილეთების დაბრუნება ან მისი შენახვა სამომავლოდ.

## ზურა ყიფშიძე გადაცემას აღარ წაიყვანს

თეატრისა და კინოს მსახიობი ზურაბ ყიფშიძე საზოგადოებრივ მაუწყებელზე გადაცემას „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“ აღარ წაიყვანს. პირველი არხის ხელმძღვანელობამ გადაცემა დახურა, რამაც ათასობით მაყურებლის აღშფოთება გამოიწვია.

**დიმიტრი ხვთისიაშვილი, რეჟისორი:**

– ნამდვილად არ მალაპარაკებს ის, რომ გადაცემის ავტორები ხშირად მთხოვდნენ ამა თუ იმ შესანიშნავ ხელოვანზე მოგონებას თუ საკუთარი მოსაზრების დაფიქსირებას. ეს ერთადერთი გადაცემა იყო, რომელიც კვირაში ერთხელ გაგვახსენებდა ხოლმე, ვისი გორისანი ვართ. მიუხედავად დიდი კოტე მარჯანიშვილის დადგმული სპექტაკლის სათაურისა, სპექტაკლის, რომლითაც გაიხსნა ქუთაისი-ბათუმის თეატრი, დღევანდელი მარჯანიშვილის თეატრი, გადაცემა მხოლოდ წასულ თეატრალებს არ ეძღვნებოდათ, ფართო სპექტრი იყო სხვადასხვა დარგის წარჩინებულ ადამიანთა მოგონებისა. ეს გადაცემა თუ აღარაა საჭირო, მაშინ... შესაძლოა, ვინმემ ბრძანოს – ამ ფორმატით ამოიწურაო, ან სხვაგვარად იქნებ გაკეთდესო... რამდენი ადამიანიცაა, იმდენი აზრია, თუმცა, უბრალოდ ადგე და გააუქმო, მოსპო, მოაშთო, ეს იგივეა, საკუთარი წარსული ამოძირკვო ცნობიერებიდან! დაფიქრდით, ბატონებო! ჯერ კიდევ არ არის გვიან!

**თამუნა მუსერიძე, ტელეწამყვანი:**

– ერთადერთი გადაცემა გვქონდა მსახიობებზე, ფილმებზე და სპექტაკლებზე. ერთადერთი – „ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ“ და ესეც დახურა პირველმა არხმა. მიზეზი არის ბიუჯეტის სიმცირე ანუ ტელევიზია, რომელსაც 100 მილიონი აქვს წლიური ბიუჯეტი, ხურავს იმ გადაცემებს, რომლებსაც ყველაზე ცოტა დაფინანსება და ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს. სამაგიეროდ, დატოვეს ყველაზე მაღალბიუჯეტიანი და დაბალრეიტინგიანი გადაცემები. პირველი არხი, სირცხვილიც აღარ ჰქვია თქვენს ქმედებას!




**ჯაბა ჯანაშია, მსახიობი:**

– გადაცემა „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“ არის ძალიან კარგი და კატეგორიულად არ ვეთანხმები მის დახურვას. პირველ არხზე, არც ინტელექტუალები უნდათ, არც თეატრზე გადაცემა და არც იუმორისტული, ხარისხიანი. უნდათ ნაგავი და უგემოვნო გადაცემები, იმდენია, რომ არც დავასახელებ. იმედია, სხვა ტელევიზიებს აღმოაჩნდებათ „ერთი ადგილი“, რომ ესენი არ გაქრნენ ეკრანებიდან!

## თავისუფალი თეატრი ფლორენციაში მიიწვიეს

თავისუფალი თეატრი იტალიის ქალაქ ფლორენციაში მიიწვიეს. რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი 21 დეკემბერს მაყურებელს შესთავაზებს სპექტაკლს „სამი ჰალსტუხიანი და ანგელოზი“.

სევდიან კომედიაში 4 მსახიობი მონაწილეობს – თათული ედიშერაშვილი, ჯაბა კილაძე, ბაჩო ქაჯაია და მამუკა მუმლაძე.

სპექტაკლი იტალიაში ფლორენციის წმინდა ნინოს სამრევლოსა და თავისუფალი თეატრის ერთობლივი ძალისხმევით გაიმართება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ყირგიზეთის დედაქალაქი; 2. უბანი ქუთაისში; 3. ძმები ჯაჭვლიანების მხატვრული ფილმი; 4. საცხოვრებელი მასივი თბილისში; 6. სპორტის სათამაშო სახეობა; 9. პატარა სასაუზმე გერმანიაში; 13. ტყის კაცი ქართულ მითოლოგიაში; 14. საღამოს სადილი; 15. საკუთრებაში არსებული ნივთები, ფასეულობა; 17. ვერცხლით დაფარული დანაჩანგალი; 18. ნადირთა მფარველი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 20. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში.

**თარაზულად:** 1. კახეთის კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი მეათე საუკუნეში; 5. მუხლს ქვემოთ შესაკრავი მოკლე შარვალი; 7. მოხარშული კვერცხისგულიანი ხაჭაპური; 8. დაღესტნის მმართველთა ტიტული; 10. ძვირფასი სარეწაო თევზი; 11. ფინური ელექტროტექნიკური კომპანია; 12. საგზაო მაგისტრალის მდინარის ქვემოთ გაყვანილი წყალგამტარი მილი; 16. ფულის ერთეული აზერბაიჯანში; 17. ამერიკული საავტომობილო კონცერნი; 19. ტერიტორიული ერთეული; 21. ფრანგი კინორეჟისორი; 22. შინაური ცხოველის კისერზე შებმული ჟღარუნა; 23. ფირმის ორგანიზაციის ვალებისა და ვალდებულებების ერთობლიობა; 24. შხამიანი გველი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

